

2007

ISSN – 0321 – 1665  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
Известия Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian Academy of Sciences

## BIOLOGICAL SERIES

ბიოლოგიური  
სერია

A

БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ

ივლის – აგვისტო  
Июль – Август  
July – August

2007 № 4 33

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
Известия Академии Наук Грузии  
Proceedings of the Georgian Academy of Sciences

ბიოლოგიური სერია  
БИОЛОГИЧЕСКАЯ СЕРИЯ  
BIOLOGICAL SERIES A

2007 № 4

ტომ  
TOM  
VOL.

33

ქურნალი დაარსებულია 1975 წელს  
Журнал основан в 1975 году  
Founded in 1975

თბილისი Tbilisi  
2007

## სარედაქციო პოლიგია

|                    |                           |
|--------------------|---------------------------|
| ოკუჯავა გაუა       | (მთავარი რედაქტორი)       |
| ბექაია გურაძე      | (მთ. რედაქტორის მოადგილე) |
| ნანეიშვილი თემურ   | (მთ. რედაქტორის მოადგილე) |
| ქორელი ალექსანდრე  | (მდივანი)                 |
| დეკანონიძე თამარ   | ნადარეეშვილი კიაზო        |
| ოოსელიანი თეიმურაზ | ონიანი თენგიზ             |
| მითაგვარია ნოდარ   | შაქარიშვილი რომან         |
| მიქელაძე დავით     | ჯავახიშვილი ნინო          |

## სარედაქციო საბჭო

|                   |                       |
|-------------------|-----------------------|
| ანთელაგა ნელი     | ოკუჯავა ნათელა        |
| გაგუა რევაზ       | სანაძე გიგი           |
| გამყრელიძე ამირან | სვანიძე ივორ          |
| ზაალიშვილი მალხაზ | ტატიშვილი გურაძე      |
| თოდუა ფრიდონ      | ქემერთელიძე ეთერ      |
| კვესიტაძე გიორგი  | ყიფიანი ვახტანგ       |
| კინტრაია პალიქო   | ყიფშიძე ნოდარ         |
| ლაზრიშვილი ილია   | წინამძღვრიშვილი ბეჭან |
| ლუჟავა გელა       | ჭანიშვილი თეიმურაზ    |
| მანაგაძე ლავრენტი | ხეჩინაშვილი სიმონ     |
| მოსიძე ბაადურ     | ხეცურიანი რამაზ       |
| ნანეიშვილი გიორგი | ხომასურიძე არჩილ      |

კორექტორი: დ. დავითულიანი

კომიუნიკაციული დიზაინი და დაკაბინეტი: ა. სურამა

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

*В. Окуджава* (главный редактор)

*Г. Бекая* (заместитель главного редактора)

*Т. Нанеишвили* (заместитель главного редактора)

*А. Корели* (секретарь)

*Т. Деканосидзе* *К. Надареишвили*

*Т. Иоселиани* *Т. Онiani*

*Н. Митагвария* *Р. Шакаришвили*

*Д. Микеладзе* *Н. Джавахишвили*

## РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

*Н. Антелава* *Н. Окуджава*

*Р. Гагуа* *Г. Санадзе*

*А. Гамкрелидзе* *И. Сванидзе*

*М. Заалишвили* *Г. Татишвили*

*Ф. Тодуа* *Э. Кемертелидзе*

*Г. Квеситадзе* *В. Кипиани*

*П. Кинтрая* *Н. Кипшидзе*

*И. Лазришвили* *Б. Цинамдзгвришвили*

*Г. Лежава* *Т. Чанишвили*

*Л. Манагадзе* *С. Хечинашвили*

*Б. Мосидзе* *Р. Хецириани*

*Г. Нанеишвили* *А. Хомасуридзе*

Корректор: *Д. Давитулиани*

Компьютерный дизайн и верстка: *А. Сурмава*

Издано неправительственной организацией “Биомед”, 2007

Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

## EDITORIAL BOARD

|                       |                         |
|-----------------------|-------------------------|
| <i>V. Okujava</i>     | (Editor-in-Chief)       |
| <i>G. Bekaya</i>      | (Vice-Editor)           |
| <i>T. Naneishvili</i> | (Vice-Editor)           |
| <i>A. Koreli</i>      | (Executive Secretary)   |
| <i>T. Dekanosidze</i> | <i>K. Nadareishvili</i> |
| <i>T. Ioseliani</i>   | <i>T. Oniani</i>        |
| <i>N. Mitagvaria</i>  | <i>R. Shakarishvili</i> |
| <i>D. Mikeladze</i>   | <i>N. Javakhishvili</i> |

## ADVISORY BOARD

|                       |                               |
|-----------------------|-------------------------------|
| <i>N. Antelava</i>    | <i>N. Okujava</i>             |
| <i>R. Gagua</i>       | <i>G. Sanadze</i>             |
| <i>A. Gamkrelidze</i> | <i>I. Svanidze</i>            |
| <i>M. Zaalishvili</i> | <i>G. Tatishvili</i>          |
| <i>F. Todua</i>       | <i>E. Kemertelidze</i>        |
| <i>G. Kvesitadze</i>  | <i>V. Kipiani</i>             |
| <i>P. Kintraya</i>    | <i>N. Kipshidze</i>           |
| <i>I. Lazrishvili</i> | <i>B. Tsinamdzgvirishvili</i> |
| <i>G. Lezhava</i>     | <i>T. Chanishvili</i>         |
| <i>L. Managadze</i>   | <i>S. Khechinashvili</i>      |
| <i>B. Mosidze</i>     | <i>R. Khetsuriani</i>         |
| <i>G. Naneishvili</i> | <i>A. Khomassuridze</i>       |

Proof-reader: *D. Davituliani*

Computer design and make-up: *A. Surmava*

Published by Non-Governmental Organization “Biomed”, 2007  
14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

## შესაარსებო

## СОДЕРЖАНИЕ

## CONTENTS

### **Mg<sup>2+</sup>-ის გავლენა ორგანულფიზიკური კათიონებით აძლიერებულ ჟობიერთ ატ-აზაზე**

გ. ნოზაძე, ნ. არუტინოვა

### **ВЛИЯНИЕ Mg<sup>2+</sup> НА НЕКОТОРЫЕ АТФ-АЗЫ, АКТИВИРОВАННЫЕ ДВУХВАЛЕНТНЫМИ КАТИОНАМИ**

У. Нозадзе, Н. Арутинова

### **INFLUENCE OF Mg<sup>2+</sup> ON SOME ATP-ASES ACTIVATED WITH DIVALENT CATIONS**

E. Nozadze, N. Arutinova ..... 211

### **FEATURE FUSION IN THE ORIENTATION DOMAIN**

M. Roinishvili, E. Chkonia, A. Brand, M.H. Herzog

### **ნებათვისებათა შერწყმა ორიენტაციის დისპრიზინაციის აპოვანებში**

მ. როინიშვილი, ე. ჭკონია, ა. ბრანდი, მ. ჰერცოგი

### **СЛИЯНИЕ ЗРИТЕЛЬНЫХ ПРИЗНАКОВ**

### **В ЗАДАЧАХ ДИСКРИМИНАЦИИ ОРИЕНТАЦИЙ**

М. Ройнишвили, Е. Чкония, А. Бранд, М. Герцог ..... 217

### **სტრესის ზეგავლენა ლტოლვილთა გავჭვების გონიერობის განვითარებაზე**

ქ. ტუხაშვილი, ფ. კალანდარიშვილი, ნ. მითაგვარია, ვ. ბერიშვილი, ე. აბზიანიძე,  
გ. აბზიანიძე

### **ВЛИЯНИЕ СТРЕССА НА УМСТВЕННОЕ РАЗВИТИЕ ДЕТЕЙ БЕЖЕНЦЕВ**

К. Тухашвили, Ф. Каландаришвили, Н. Митагвария, В. Беришвили, Е. Абзианидзе

### **STRESS INFLUENCE ON MENTAL DEVELOPMENT OF CHILDREN OF REFUGEES**

K. Tukhashvili, F. Kalandarishvili, N. Mitagvaria, V. Berishvili, E. Abzianidze ..... 223

შპ30 სუპსტაციის და გუდიანი ბირთვის ელექტრული გაღიზიანების  
გავლენა ცენტრალური რუბი ნივთიერების ნივროცენტ აძლივობაზე  
ნოციცეპტური რეფლექსის გახსოვთიერებისას

თ. ტკემალაძე, მ. ცაგარელი, ვ. ბერიშვილი, თ. ლადიძე, გ. ღურწკაია,  
ნ. ფირცხელანი, ვ. აბზიანიძე

**ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ ЭЛЕКТРИЧЕСКОГО РАЗДРАЖЕНИЯ ЧЕРНОЙ  
СУБСТАНЦИИ И ХВОСТАТОГО ЯДРА НА НЕЙРОННУЮ АКТИВНОСТЬ  
ЦЕНТРАЛЬНОГО СЕРОГО ВЕЩЕСТВА ВО ВРЕМЯ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ  
НОЦИЦЕПТИВНОГО РЕФЛЕКСА**

Т. Ткемаладзе, М. Цагарели, В. Беришвили, Т. Лагидзе, Г. Гурцкая, Н. Пирцхелани,  
Е. Абзианиძე

**INFLUENCE OF ELECTRICAL STIMULATION OF SUBSTANTIA NIGRA AND  
NUCLEUS CAUDATUS ON NEURONAL ACTIVITY OF CENTRAL GRAY MATTER  
DURING PERFORMANCE OF NOCICEPITIVE REFLEX**

T. Tkemaladze, M. Tsagareli, V. Berishvili, T. Lagidze, G. Gurtskaia, N. Pirtskhelani,  
E. Abzianidze ..... 229

შირვანია მარიამენტული იჯებია/რეალუზუზიული დაზიანების  
ზეგავლენა გულის რიტმისა და ტროპონის I-ს კონცენტრაციაზე სისხლში

თ. უბილავა, ი. მეგრელაძე, მ. ჯანგავაძე, ნ. ხოდელი, ზ. ჭაიძე

**ВЛИЯНИЕ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ ИШЕМИИ/РЕПЕРФУЗИОННЫХ  
ПОВРЕЖДЕНИЙ МИОКАРДА НА РИТМ СЕРДЦА И КОНЦЕНТРАЦИЮ  
ТРОПОНИНА I В КРОВИ**

Т. Убилава, И. Мегреладзе, М. Джангавадзе, Н. Ходели, З. Чхайдзе

**INFLUENCE OF EXPERIMENTAL ISCHEMIA/REPERFUSION INJURY  
ON CARDIAC RHYTHM AND BLOOD TROPONIN I CONCENTRATION**

T. Ubilava, I. Megreladze, M. Jangavadze, N. Khodeli, Z. Chkhaidze ..... 235

კულაის ნივრული ბოჭოვები და მათი დავილისტიანი  
მყვავი კულაის დროს

გ. ფარულავა, გ. იმერლიშვილი

**НЕРВНЫЕ ВОЛОКНА ПУЛЬПЫ И ИХ ДЕМИЕЛИНИЗАЦИЯ  
ПРИ ОСТРОМ ПУЛЬПИТЕ**

Г. Парулава, Г. Имерлишвили

**PULP NERVE FIBERS AND THEIR DEMYELINIZATION  
DURING ACUTE PULPITIS**

G. Parulava, G. Imerlishvili ..... 245

ადსორბციის და ადგეზიის მოვლენა გაუანტული სპლეიროზის დროს

ნ. ხვიტია, ი. ვაშაკიძე, გ. ჩიხლაძე, ა. სულაძე

ЯВЛЕНИЕ АДСОРБЦИИ И АДГЕЗИИ ПРИ РАССЕЯННОМ СКЛЕРОЗЕ

Н. Хвитиа, И. Ващакидзе, Ц. Чихладзе, А. Суладзе

ADSORPTION AND ADHESION IN MULTIPLE SCLEROSIS

N. Khvitia, I. Vashakidze, Ts. Chikhladze, A. Suladze ..... 249

06სტრუქცია ავტორთათვის

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2007, გ. 33, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. A, 2007, т. 33, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2007, vol. 33, No. 4.

## Mg<sup>2+</sup>-ის გავლენა ორგალენტიანი კათიონებით

### აქტივირებულ ზოგიერთ ATP-აზაზე

ე. ნოზაძე, ნ. არუთინოვა

ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 5.07.2007

ორგალენტიანი კათიონები წინაშენელოვან როლს თამაშობენ ცოცხალ ორგანიზმთა უჯნეციონირებაში. უჯრედში მათი ტრანსპორტი, საგარაუდო ხორციელება ATP-აზების საშუალებით, რომლებიც ნაკლებად შესწავლილი უერმენტული სისტემებია და მონაცემები მათი რეგულატორული მექანიზმებისა და თვისებების შესახებ თითქმის არ არსებობს. ზოგიერთი ორგალენტიანი კათიონით ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ) აქტივირებული M-ATPაზას შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათ სუბსტრატს წარმოადგენს Mg-ATP კომპლექსი, რადგანაც უერმენტული აქტივობა აღინიშნება მხოლოდ სარეაქციო არეში შესაბამისი ორგალენტიანი კათიონისა და Mg<sup>2+</sup> თანაარსებობისას. დადგინდა, რომ სხევადასხვა იონებით ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ) აქტივირებული M-ATPაზური აქტივობის გამოვლენისათვის აუცილებელია, ATP-თან შედარებით, Mg<sup>2+</sup> სიჭარბე. აგრეთვე შერჩეული იქნა Mg<sup>2+</sup>-ს ოპტიმალური კონცენტრაციები, რომელთა დროსაც აღნიშნული M-ATPაზური აქტივობები მაქსიმალურია.

საკანონი სიტყვები: ATP-აზა, ორგალენტიანი კათიონები, უერმენტული აქტივობა, მაგნიუმის იონები, სინაფსური მემბრანის ფრაქცია, ვირთაგვა

ცოცხალ ორგანიზმთა უჯნეციონირებაში ორგალენტიანი მეტალები წინაშენელოვან როლს თამაშობენ. ისინი შედიან ზოგიერთი ფერმენტის და ვიტამინის შემადგენლობაში, მონაწილეობენ ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, ქიმიური ბმების წარმოქმნასა და გაწყვეტაში და სხვა. ორგალენტიანი კათიონები ორგანიზმის აუცილებელი კომპონენტებია და მათ გარეშე უჯრედისა და ორგანიზმის სიცოცხლე შეუძლებელია. უჯრედში მათი ტრანსპორტი, საგარაუდო, ხორციელება ATP-აზების საშუალებით. ორგალენტიანი კათიონებით აქტივირებული ATP-აზები (M-ATPაზები), ძირითადად, ნანახია ბაქტერიებში, თუმცა არსებობს მონაცემები ძუძუმწოვებებში ზოგიერთი M-ATPაზას ( $Cu$ -ATPაზა,  $Mn$ -ATPაზა,  $Zn$ -ATPაზა,  $Ni$ -ATPაზა) არსებობის შესახებ [5, 6, 8]. M-ATPაზები ნაკლებად შესწავ-

ლილია და მონაცემები მათი რეგულატორული მექანიზმებისა და თვის სებების შესახებ თითქმის არ არსებობს. თუმცა, ცნობილია, რომ ისინი მიეკუთვნებიან P-ტიპის ATPაზების რიცხვს [7]. ჩვენს მიერ ნანახი იქნა, რომ ძუძუმწოვრების სინაფსურ მებმბრანებში ზოგიერთი ორვალენტიანი კათონიო (Mn<sup>2+</sup>, Zn<sup>2+</sup>, Ni<sup>2+</sup>) აქტივირებული M-ATPაზას აქტივაციისათვის აუცილებელია, აგრეთვე, საინკუბაციო არეში Mg<sup>2+</sup> არსებობა [6]. ამიტომაც, შევისწავლეთ ზოგიერთ M-ATPაზაზე (როგორიცაა Mn-ATPაზა, Zn-ATPაზა, Ni-ATPაზა) Mg<sup>2+</sup> გავლენა.

## მასალა და მთოლებელი

პრეპარატად გამოიყენებოდა თეთრი ვირთაგვის თავის ტეინის სინაფსური მებმბრანის ფრაქცია, რომელიც მიიღება 1,2-0,9 M საქართვას ფენებს შორის [3]. ცილის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ლოურის მეთოდით [4], ხოლო არაორგანული ფოსფორი – მოდიფიცირებული ფისკე-სუბაროუს მეთოდით [1].

ATP-აზურ აქტიობაზე გმსჯელობდით ფერმენტის მიერ ATP-ის დაშლისას გამოყოფილი არაორგანული ფოსფორის რაოდენობით მილიგრამ ცილაზე საათში. M-ATPაზური აქტივობა ისაზღვრებოდა სხვაობით, რომელიც მიიღებოდა სარეაქციო არეში შესაბამის ორვალენტიანი კათონების (Mn<sup>2+</sup>, Zn<sup>2+</sup>, Ni<sup>2+</sup>) არსებობისა და არარსებობის პირობებში, სხვა დანარჩენი პირობების მუდმივობისას (შესაბამისი კონცენტრაციის ATP და Mg<sup>2+</sup>, Tris-HCl 20 mM, pH 7,7). ცდები ექვემდებარებოდა მკაცრ სტატისტიკურ დამუშავებას.

თავისუფალი ATP, Mg<sup>2+</sup>, M<sup>2+</sup>, M-ATP და Mg-ATP კონცენტრაციის განსაზღვრა ხორციელდებოდა M-ATP კომპლექსისა და Mg-ATP კომპლექსის დისოციაციის კონსტანტების მნიშვნელობების გათვალისწინებით: Mg-ATP-ისათვის K<sub>d</sub> = 0,0603 mM, Mn-ATP-ისათვის K<sub>d</sub> = 0,0166 mM, Zn-ATP-ისათვის K<sub>d</sub> = 0,0141 mM, ხოლო Ni-ATP-ისათვის K<sub>d</sub> = 0,0095 mM [2].

## უკანასკნელი და გათი განხილვა

Mn-ATPაზას, Zn-ATPაზასა და Ni-ATPაზას კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, სარეაქციო არეში შესაბამისი კონცენტრაციის ცილისა და ATP-ის გარდა, შეგვებავდა მხოლოდ ერთი იონი (Mn<sup>2+</sup>, Zn<sup>2+</sup>, Ni<sup>2+</sup>) და ამ იონის კონცენტრაციის საკმაოდ დიდ ფარგალში ვარკვევდით ფერმენტულ აქტივობას (ცხრილი I). აღმოჩნდა, რომ ამ იონების დამატებისას ATPაზური აქტიობა ნულის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ სუბსტრატი არ არის Mg-ATP კომპლექსი. M-ATPაზური აქტივობა შეინიშნება მხოლოდ სარეაქციო არეში Mg<sup>2+</sup>-ისა და შესაბამისი იონების თანაარსებობისას. ამ დროს ვაწყდებით სირთულეს, რადგან სარეაქციო არეში Mg<sup>2+</sup>-ს შეეგანისას, ATPაზური აქტივობა აუცილებლად ნულისაგან განსხვავებული იქნება, ვინაიდან მუშაობს Mg-ATPაზა. მაგრამ, Mg<sup>2+</sup>-თან ერთად შე-

საბამისი  $M^{2+}$  შეცვანისას. ადგილი აქვს აქტივობის მატებას და ტობრივად შევისწავლით სხვადასხვა ორგალენტიანი კათიონით ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ) აქტივირებული ATPაზების ამ კათიონებით აქტივაციის ნაწილს. ამასთან, M-ATPაზური აქტივობა აღინიშნება მხოლოდ თავისუფალ ATP-თან (ATP<sub>f</sub>) შედარებით, თავისუფალი  $Mg^{2+}$  ( $Mg^{2+}_f$ ) სიჭარბისას. ამიტომ, შევისწავლით  $Mg^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე M-ATPაზური აქტივობის დამოკიდებულება, Mg-ATPისა და შესაბამისი  $M^{2+}$ -ს ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ) მუდმივი კონცენტრაციისას. შერჩეულ იქნა  $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$  და  $Ni^{2+}$  ოპტიმალური კონცენტრაციები ([ $Mn^{2+}_f$ ] = 0,003 mM; [ $Zn^{2+}_f$ ] = 0,0008 mM; [ $Ni^{2+}_f$ ] = 0,001 mM, ხოლო [ $Mg\text{-ATP}$ ] = 1 mM).


ცხრილი 1

### ATP-აზური აქტივობის დამოკიდებულება სხვადასხვა ორგალენტიანი კათიონის კონცენტრაციაზე

| კათიონი   | კონცენტრაცია, mM | ATP-აზური აქტივობა, მეტოლ P/სთ მგ ცილდა |
|-----------|------------------|---|
| $Mn^{2+}$ | 0,288 – 0,576    | $0,300 \pm 0,300$ – $0,150 \pm 0,600$   |
| $Zn^{2+}$ | 0,266 – 0,531    | $0,300 \pm 0,600$ – $0,150 \pm 0,479$   |
| $Ni^{2+}$ | 0,022 – 0,044    | $0,502 \pm 0,300$ – $0,451 \pm 1,352$   |

ქვემოთ მოტანილ სურათზე (სურ. 1) წარმოდგენილია Mn-ATPაზური, Zn-ATPაზური და Ni-ATPაზური აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}_f$  კონცენტრაციაზე, Mg-ATP-ისა და შესაბამისი  $M^{2+}$  მუდმივი კონცენტრაციების დროს. როგორც სურათიდან ჩანს, სამივე შემთხვევაში მრუდს გააჩნია ზარისებრუი ფორმა. კერძოდ,  $Mg^{2+}$ -ს გარკვეულ კონცენტრაციამდე აღინიშნება M-ATPაზური აქტივობის მატება, ხოლო  $Mg^{2+}$ -ს კონცენტრაციის შემდგომი ზრდისას აქტივობა მცირდება. აღნიშნული დამოკიდებულებების შესწავლის შედეგად შერჩეულ იქნა  $Mg^{2+}$  ოპტიმალური კონცენტრაცია, რომლის დროსაც შესაბამისი M-ATPაზური აქტივობა მაქსიმალურია, კერძოდ: Mn-ATPაზასათვის – 0,4 mM, Zn-ATPაზასათვის – 0,3 mM ხოლო Ni-ATPაზასათვის – 0,5 mM. უნდა აღინიშნოს, რომ  $v = f(Mg^{2+})$  დამოკიდებულების ასეთი ფორმა (აღმავალი და დაღმავალი უბნების არსებობა) აუცილებელი, მაგრამ არასაქმარისი პირობაა იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული M-ATPაზები აწარმოებენ  $Mg^{2+}$ -ს ტრანსპორტს, რადგანაც, თუ ATPაზები აწარმოებენ რომელიმე იონის ტრანსპორტს, მაშინ ATPაზას თვისობა ამ იონისადმი უნდა იყოს მაღალი, ხოლო როცა გადატანა მთავრდება, მისი თვისობა მცირდება, რაც კინეტიკურად გამოიხატება იონის დაბალი კონცენტრაციისას აქტივობის მატებით, ხოლო მაღალი კონცენტრაციისას – კლებით. თუმცა,  $v = f(Mg^{2+})$  მრუდის ზარისებრი ფორმა შეიძლება იმითაც იყოს განპირობებული, რომ M-ATPაზები, ისევე როგორც Na,K-ATP-აზა,  $Mg^{2+}$ -სტიმულირებული ATPაზებია და  $Mg^{2+}$ -ს დაკავშირება, Na,K-ATP-აზას მსგავსად, ხდება სუბსტრატულ უბანზეც. სწორედ ამიტომ, დაბალი კონცენტრაციისას  $Mg^{2+}$  იწვევს აქტივაციას,

ხოლო მაღალი კონცენტრაციისას, სუბსტრატთან კონკურენციის გამო, ინჰიბიციას. ამის გასარკვევად საჭიროა შემდგომი კვლევები.



სურ. 1. სხვადასხვა ორგალენტიანი ქათოონით აქტივიზებული ATPაზური ( $Mn$ -ATPაზა,  $Zn$ -ATPაზა და  $Ni$ -ATPაზა) აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე  $Mg$ -ATP-ისა და  $M^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციისას ( $[Mg\text{-ATP}] = 1 \text{ mM}$ ;  $[Mn^{2+}] = 0,003 \text{ mM}$ ;  $[Zn^{2+}] = 0,0008 \text{ mM}$ ;  $[Ni^{2+}] = 0,001 \text{ mM}$ ). 1 –  $Zn$ -ATP-აზური აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ს კონცენტრაციაზე; 2 –  $Mn$ -ATPაზური აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ს კონცენტრაციაზე; 3 –  $Ni$ -ATPაზური აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ს კონცენტრაციაზე.

ამრიგად,  $Mn$ -ATPაზას,  $Zn$ -ATPაზას და  $Ni$ -ATPაზას სუბსტრატს წარმოადგენს  $Mg$ -ATP კომპლექსი, რადგანაც ფერმენტული აქტივობა აღინიშნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სარგაქციო არეში აღილი აქვს შესაბამისი ორგალენტიანი კათოონების ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$  და  $Ni^{2+}$ ) და  $Mg^{2+}$ -ის თანაარსებობას.  $M$ -ATPაზური აქტივობების  $Mg^{2+}$ -ს კონცენტრაციაზე დამოკიდებულების შესწავლის შედეგად დაგინდა, რომ აღნიშნული ATPაზური აქტივობების გამოვლენისათვის აუცილებელია  $Mg^{2+}$ -ს სიჭარბე, ATP-თან შედარებით. აგრეთვე, სხვადასხვა  $M$ -ATPაზასათვის შერჩეული იქნა ოპტიმალური კონცენტრაცია, რომლის დროსაც  $M$ -ATPაზური აქტივობა მაქსიმალურია.

## ლიტერატურა

1. Fiske G., Subbarow Y. J. Biol. Chem., 1925, 66, 375-400.
2. Iacimirski K., Kriss E., Gvasdovskaya V. Dissociation constants of metal and bioligand complexes. Kiev, Naukova Dumka, 1972.
3. Kometiani Z., Tsakadze L., Jariashvili T. J. Neurochem., 1984, 42, 1246-1250.
4. Lowry O.H., Rosenbrogh N.I. Biol. Chem., 1951, 193, 265-275.
5. Lutsenko S., Petrukhin K. J. Biol. Chem., 1997, 272, 18939-18944.
6. Nozade E., Chkadua G., Kometiani Z. Bivalent cation-activated ATPases (in press).
7. Rensing G., Ghosh M., Rosen B. J. Bacteriol., 1999, 181, 5891-5897.
8. Tsakadze L. Proc. Georgian SSR Acad. Sci., Biol. Ser., 1988, Supplement, 238-244.

# ВЛИЯНИЕ Mn<sup>2+</sup> НА НЕКОТОРЫЕ АТФ-АЗЫ, АКТИВИРОВАННЫЕ ДВУХВАЛЕНТНЫМИ КАТИОНАМИ

У. Нозадзе, Н. Арутинова

Институт физиологии им. И.С. Бериташвили, Тбилиси

## РЕЗЮМЕ

Двухвалентные катионы играют важную роль в жизнедеятельности организмов. Их транспорт в организме осуществляется, по-видимому, АТФазами, которые являются менее изученными ферментными системами и сведений об их регуляторных механизмах и свойствах, почти нет. Исследованием М-АТФазы, активированной некоторыми двухвалентными ионами ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ), установлено, что их субстратом является комплекс Mg-АТФ, поскольку ферментная активность отмечается лишь при совместном наличии в среде соответствующего двухвалентного катиона и  $Mg^{2+}$ . Установлено, что для выявления активности М-АТФазной активности, после активации различными ионами ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ), необходим сравнительный избыток  $Mg^{2+}$  по сравнению АТФ. Подобраны были, так же оптимальные концентрации  $Mg^{2+}$ , при которых указанная активность М-АТФазы максимальна.

## INFLUENCE OF Mg<sup>2+</sup> ON SOME ATP-ASES ACTIVATED WITH DIVALENT CATIONS

E. Nozadze, N. Arutinova

I. Beritashvili Institute of Physiology, Tbilisi

## SUMMARY

Divalent cations play an important role in the functioning of live organisms. Their transport in the cell presumably is fulfilled by means of ATPases, which are less studied enzyme systems and there are almost no data on their regulatory mechanisms and properties. In result of study of M-ATPase activated by some divalent cations ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ) it has been established that Mg-ATP complex appears to be their substrate, as enzyme activity is observed only at co-existence of divalent cations and  $Mg^{2+}$  in reaction medium. It has been established that in order to reveal activity of M-ATPase activated by different ions ( $Mn^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Ni^{2+}$ ), the abundance of  $Mg^{2+}$ , as compared to ATP, is necessary. Also, optimal concentrations of  $Mg^{2+}$  were chosen, during which the mentioned M-ATPase activity was maximal.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2007, გ. 33, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2007, т. 33, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2007, vol. 33, No. 4.

## FEATURE FUSION IN THE ORIENTATION DOMAIN

*M. Roinishvili, E. Chkonia\*, A. Brand\*\*, M.H. Herzog\*\*\**

I. Beritashvili Institute of Physiology, Tbilisi, Georgia; \* State Medical University, Tbilisi, Georgia; \*\* Center for Psychiatry and Psychotherapy, Bremen, Germany;

\*\*\* Ecole Polytechnique Fédérale de Lausanne (EPFL), Switzerland

Accepted 6.08.2007

Feature integration is one of the most hotly debated subjects in the cognitive and neurosciences [15]. Recently, using a vernier task, we have shown [11] that, if a vernier is followed by an anti-vernier, the both verniers are fused, i.e. only one vernier is perceived. Its perceived offset is dominated by the anti-vernier. Surprisingly, when vernier and anti-vernier are followed by a masking grating, a reversal of dominance occurs, i.e. now the first vernier dominates. Hence, feature fusion depends on complex temporal integration processes. Here, we extended these findings to the orientation domain.

**Key words:** Backward masking, feature binding, orientation discrimination

The individual features of an object, such as its luminance, colour and motion, are processed in parallel in separate parts of the brain. A mechanism is required to bind these features into a unified percept. The necessity of such a mechanism is unquestioned yet its nature is largely unknown and a subject of heated debate [14].

Psychophysical experiments investigating the integration of features rely on two paradigms in which features of one object are either incorrectly bound to another object or in which features of two distinct objects are fused into a single percept. The former effect is in operation when subjects incorrectly perceive one letter in the colour of a nearby letter (illusory conjunctions [15, 16]; Treisman uses the noun feature “integration”). The latter, feature fusion, occurs, for example, when a red disc is rapidly followed by a green disc. Only one disc is perceived appearing as yellow one [7, see also 3; 6]. Hence, in feature fusion features within one visual dimension, such as colour, are combined over time, while feature binding denotes the attachment of features across domains. Analogously, when a vernier is followed by its anti-vernier the anti-vernier dominates performance. If, however, gratings composed of 5 or 25 elements are presented, the first vernier dominates. This reversal of dominance shows that stimuli are not processed independently in the sequence of appearance. Moreover, dominance depends also on the spatial layout of the subsequent grating. Hence, feature fusion can not be explained by simple, local mechanisms [11]. Here the question arises whether the

results hold only for vernier stimuli or reflect a more general processing. For this reason, we tested feature fusion with an orientation discrimination task here.

## MATERIAL AND METHODS

### *2.1. General paradigm*

Stimuli were displayed on an analog monitor (Tektronix 608 or on a HP 1334 A) controlled by a Power Macintosh computer via fast 16 bit D/A converters (1 MHz pixel rate). Two lines with opposite oblique orientation from the vertical were presented one immediately following the other (Fig. 1). Presentation times ranged between 10 and 20 ms, depending on observer. In all conditions, except one, a 300 ms mask immediately followed the lines (Fig. 1b-f). The length of the lines was 20°. Lines were presented at the center of the screen where the mask was centered, too (see Fig. 1). The refresh rate was 100 Hz.

The luminance of the stimuli was approximately 80 cd/m<sup>2</sup>. Subjects observed the stimuli from a distance of 2 m in a room dimly illuminated by a background light (around 0.5 lx). Before stimulus presentation began, a fixation dot was presented at the middle of the screen and four markers were shown at the corners of the monitor.

### *2.2. Observers*

We tested five observers in six conditions. All observers had normal or corrected to-normal visual acuity. After signing a consent form, visual acuity was determined by means of the Freiburg visual acuity test [1]. To participate in the experiments subjects had to reach a value of 1.0 (corresponding to a visual acuity of 20/20) in this test, in at least for one eye.

### *2.3. Masks*

In all experiments, a line tilted in one direction was followed by a second line tilted in the opposite direction. These two lines were:

- a) presented without mask or immediately;
- b) followed by a single straight line mask;
- c) followed by a 25 element grating;
- d) followed by a 24 element grating (the central grating element was removed);
- e) followed by a light mask;
- f) followed by a 3 element mask.

Presentation time of lines ranged between 10-20 ms, depending on the subjects' temporal vision. All masks were presented for 300 ms. The spacing between grating elements was 3.33°. Subjects were asked to indicate the orientation of the perceived line. Performance was determined as the percentage of correct responses related to the first line. Hence, if performance was below 50%, performance was dominated by the second line. Performance above 50% indicates dominance of the first line. No error feedback was given.

Each condition was measured twice for every subject. Conditions were randomized across subjects. The order of measurements in the second run was opposite to that of the first run to compensate at least partially for learning effects. Experiments were run in blocks of 80 presentations. To prevent tiring of the observers, no session lasted longer than 20 blocks or exceeded 2 h.




Fig. 1. In all experiments, a line tilted one direction is followed by a second line tilted in the opposite direction. (a) Without any mask, only a single line is perceived. Subjects indicate the perceived orientation. (b) A single straight line follows the preceding two oriented lines. Subjectively, only a single, almost straight, line is perceived. (c) Grating of 25 elements (only nine are shown). Subjectively, a single line is superimposed on the grating appearing wider and brighter than the grating elements (shine-through). The length of grating elements is 20' (arc min). The horizontal spacing between elements is 3.33'. (d) Metacontrast mask. A 24 element grating follows as in (c) except that the central grating element is removed and a single faint line is perceived. (e) Light mask. Subjectively, a single line is perceived embedded into a light field. (f) If the mask consists of three vertical lines, only the grating is perceived. However, it appears tilted in the direction of the first line (feature inheritance). The lines remain largely invisible. Results: Performance above 50% indicates

dominance of the first presented line, performance below 50% dominance of the second line. Without mask the second line dominates while no clear dominance occurs for a single following line. For all spatially extended masks, the first line prevails. Hence, dominance depends on the spatial layout of the mask. Note, that the metacontrast mask (d) does not cover the preceding lines (a). The shine-through mask (c) contains the single line (b).

## RESULTS AND DISCUSSION

In the first condition, subjectively, only a single line is perceived, the orientation of which is dominated by the line presented second (Fig. 1a; see also 6). If a single straight line follows the two preceding lines, neither orientation is clearly dominant. As in the first condition, only a single line is seen (Fig. 1b). In the third condition, a grating with 25 elements follows the two preceding lines. The resulting *shine-through* percept is a single line superimposed on the grating [9]. Now the first line dominates performance (Fig. 1c). In the fourth (*metacocntrast*) condition, the 25 element mask is modified by removing the centre line. The observer perceives a single, faint line in the centre gap with the orientation of the first line dominating (Fig. 1d).

Also with the *light mask*, i.e. without a spatially structured mask, dominance reverses (Fig. 1e). In this condition one line is perceived, embedded in a field of light, resembling the percept of a single line in the first and in the shine-through condition. Hence, both the unstructured light mask and the *aligned* grating mask can change the perceived orientation of the preceding lines – even though these masks do not reveal any bias towards one of the orientations.

Likewise, the single-line and the shine-through conditions share the same local properties. However, performance differs qualitatively: dominance can be reversed (metacontrast vs. no mask) or occurs for only one mask (shine-through vs. single line). Therefore, dominance cannot be explained by a spatially local *fusion* mechanism, but rather depends on complex spatial and temporal characteristics.

Holcombe and Cavanagh (2001) showed that local detectors for *combinations* of features, such as color and orientation, exist already in the early stages of visual processing [10]. Discrimination of feature combinations is better when the two features are presented at the same rather than at two locations. Our results show not only that sophisticated local detectors exist but extend these results by demonstrating that neighboring elements can bias perception even for features these neighbors do not contain. Subsequently displayed elements are treated differently depending on the spatio-temporal structure of the whole stimulus sequence. Therefore, our results contribute also strongly to the understanding of backward masking [11-13].

Having established that *feature fusion* is not only local, it is reasonable to ask how feature fusion relates to feature *binding*. In the *feature inheritance* condition, the two lines with opposite orientation are followed by a 3-element mask (Fig. 1f). The lines preceding the grating are not themselves visible. However, the *entire* grating is perceived as oriented. Though the first line dominates in this condition, it is worth noting that in the feature inheritance condition the *fused* orientations of the verniers are bound to the grating. Therefore, the inheritance effect shows that features can be freed from their objects and can be bound to different spatial positions as in illusory conjunctions (for details see 14). Our feature inheritance results (Fig. 1f) are in good agreement with the finding that the orientation of a single Gabor can be *bound* to a whole array of surrounding Gabors presented *simultaneously* [15]. In this study the single Gabor remains invisible because of crowding, analogous to the backward masking used in our study.

As these results make clear, feature fusion and binding cannot be explained by simple, local mechanisms. Future explanations of these processes must forgo the conventional recourse to integrating independent basic filter outputs, and instead attempt to accurately capture a series of sophisticated detectors strongly interacting with each other.

## ACKNOWLEDGMENTS

This work was supported by the Volkswagen Foundation project “Between Europe and the Orient – A Focus on Research and Higher Education in/on Central Asia and the Caucasus” (I/80 096)

## REFERENCES

1. Bach M. Der Ophthalmologe, 1995, 92, 174–178.
2. Bachman T. Psychophysiology of visual masking. Nova Science Publishers, 1994, Inc., Commack, New York.
3. Bachmann T. Microgenetic approach to the conscious mind. John Benjamins Publishing Company, Amsterdam and Philadelphia, 2000.
4. Breitmeyer B.G. Visual Masking: An Integrative Approach. Oxford Psychology Series, 1984, No 4. Clarendon Press.
5. Butler B.E., Mewhort D.H., Browse R.A. Perception & Psychophysics, 1991, 49, 91-99.
6. Crick F., Koch C. What are the neuronal correlates of consciousness. In: Problems in Systems Neuroscience, van Hemmen, L., and Sejnowski, T.J., eds., Oxford University Press: New York, New York, (in press).
7. Efron R. Annals of the New York Academy of Sciences, 1967, 138, 713-729.
8. Enns J.T., Di Lollo V. Trends in Cognitive Science, 2000, 4, 345-352.
9. Herzog M.H., Koch C. Proceedings of the National Academy of Science USA, 2001, 98, 4271-4275.
10. Herzog M.H., Fahle M., Koch C. Vision Research, 2001, 41, 2325-2335. Please read Erratum: Vision Research, 42, 271.
11. Herzog M.H., Parish L., Koch C., Fahle M. Vision Research, 2003, 43, 1951-1960.
12. Holcombe A.O., Cavanagh P. Nature Neuroscience, 2001, 4 (2), 127-128.
13. Parkes L., Lund J., Angelucci A., Solomon J.A., Morgan M. Nature Neuroscience, 2001, 4, 739-744.
14. Roskies A.L. Neuron, 1999, 24, 7-9.
15. Treisman A. Philosophical Transaction of the Royal Society, London B Biol. Sci., 1998, 353, 1295-306.
16. Ward R. Danziger S., Owen V., Rafal R. Nature Neuroscience, 2002, 5, 2, 99.

## ნიშანთვისებათა შერტყეა მრიენტაციის დასპრავინაციის ამოცანები

**გ. როინაშვილი, ე. ჭყონია\*, ა. ბრანდი\*\*, გ. ჰერცოგი\*\*\***

ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; \* თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; \*\* ფსიქიატრიისა და ფსიქო-თერაპიის ცენტრი, ბრემენი, გერმანია; \*\*\* შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ლოზანა, შვეიცარია

### რეზიუმე

ნიშანთვისებათა შერტყემის ფენომენი ერთ-ერთი პრობლემური საკითხია კოგნიტიურ და ნეირო-მეცნიერებაში [15]. უკანასკნელ პერიოდში, ვიუქნებდით რა ვერნიეს ამოცანას, ჩვენს მიერ ნაჩვენები იქნა, რომ თუ ვერნიეს სტიმულს თან სდევს ანტივერნიე, ორივე ვერნიე ერტყმის ერთმანეთს და მხოლოდ ერთი მათგანი აღიქმება. ძირითადად დომინირებს ანტივერნიეს წანაცვლების მიმართულება. საინტერესოა, რომ თუ სწრაფად წარდგენილ ვერნიეს და ანტივერნიეს თან მოჰყვება შემნიღბავი ცხაური, ადგილი აქვს დომინანტობის ცვლილებას, ანუ ამ შემთხვევაში პირველი ვერნიე ხდება წამყვანი სტიმული [11]. მაშაადამე,

ნიშანთვისებათა შერწყმა დამოკიდებულია კომპლექსურ დროითი ინტეგრაციის პროცესებზე. წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ ეს ფენომენი შეგვესწავლა ორიენტაციის დისკრიმინაციის ამოცანებში.

## СЛИЯНИЕ ЗРИТЕЛЬНЫХ ПРИЗНАКОВ В ЗАДАЧАХ ДИСКРИМИНАЦИИ ОРИЕНТАЦИЙ

*М. Ройнишвили, Е. Чкониа\*, А. Бранд\*\*, М. Герцог\*\*\**

Институт физиологии им. И. С. Бериташвили, Тбилиси, Грузия; \* Государственный медицинский институт, Тбилиси, Грузия; \*\* Центр психиатрии и психотерапии, Бремен, Германия; \*\*\* Федеральный Технологический институт, Лозанна, Швейцария

### РЕЗЮМЕ

Проблема интеграции зрительных признаков принадлежит к числу наиболее обсуждаемых проблем в области нейронаук. В задачах с использованием стимулов Верные мы показали, что если вслед за стимулом Верные предъявляются анти-Верные, то оба стимула сливаются, и воспринимается только один стимул. В этом случае доминирует анти-Верные. Неожиданно оказалось, что если после Верные и анти-Верные предъявляется маскирующая решетка, то происходит реверсирование доминантности, т.е. начинает преобладать Верные [11]. Следовательно, слияние зрительных признаков зависит от комплексных временных интеграционных процессов. В настоящей работе этот феномен изучен в задачах дискриминации ориентации.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2007, ტ. 33, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. A, 2007, т. 33, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2007, vol. 33, No. 4.

## სტრესის ზეგავლენა ლტოლვილთა გავუვების გრეჩერივ განვითარებაზე

ქ. ტუხაშვილი, ფ. კალაძეარაშვილი, ნ. მითაგვარია,  
გ. ბერიშვილი, ე. აბზიანიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 12.07.2007

შესწავლილ იქნა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 1992, 1993 და 1994 წლებში დაბადებული ბავშვებისა და ამავე წლებში თბილისში დაბადებული ბავშვების გონიერივი განვითარება. დადგინდა, რომ ლტოლვილთა გონიერივ განვითარებაში ჩამორჩენილი ბავშვების რაოდენობა 63 (3,9%) 5-ჯერ მეტია, ვიდრე თბილისში ადგილობრივად მცხოვრებ ბავშვებში – 12 (0,5%). ამ მოვლენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ომით გამოწეულმა ქრონიკულმა სტრესულმა მდგომარეობამ, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ორსულ ქალებსა და მათ მუცლად მყოფ ნაყოფზე, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ოჯახური ატმოსფერო და მიკროკლიმატი, რაც ლტოლვილთა ოჯახებში სუვერენი.

საომარი კონფლიქტის ზონაში ნამყოფმა ყოველმა მე-4 ბავშვა განიცადა რუადაპტაციის სიძნელები ახალ საცხოვრებელ ადგილებში, რაც გამოვლინდა ფსიქოსომატური და ნევროლოგიური წიგილების მრავალფეროვნებით.

**საკვანძო სიტყვები:** ლტოლვილები, სტრესი, გონიერივი განვითარება, ორსული ქალები

ომები და კატასტროფები, რომლებიც გამუდმებით აღინიშნება მსოფლიოში, აიძულებს მშობლებს ბავშვებთან ერთად მიატოვონ თავიანთი სახლები, სამშობლო და გახდნენ ლტოლვილები [4]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში 18 მილიონი სამშობლოდან ლტოლვილი ადამიანია და ორჯერ მეტი იძულებით გადაადგილებული პირი, რომლებიც თავიანთი სამშობლოს საზღვრებს შიგნით ცხოვრობენ [2-3]. ლტოლვილებისათვის, გარდა ეკონომიკური დახმარებისა, უდიდესი მნიშვნელობა ენოჭება სამედიცინო-პროფილაქტიკური დონის სძიებების გატარებას [1]. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით საჭიროა ლტოლვილი მოსახლეობის ბავშვებისათვის, რომლებიც მუდმივი ნეიროფსიქოლოგიური სტრესის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან [5].

ლიტერატურის მონაცემებით, ბავშვთა ასაკში გავრცელებული გონიერივი განვითარებაში ჩამორჩენა, ომით გამოწეული სტრესისა და ფსიქოტრაქტის შედეგია [6-7].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა, შეგვესწავლა და ერთმანეთისათვის შეგვედარებინა აფხაზეთიდან იძულებით გადააღილებულ პირთა 1992, 1993 და 1994 წლებში დაბადებული ბავშვებისა და ამავე წლებში თბილისში დაბადებული ბავშვების გონიერივა განვითარება.

## მასალა და მეთოდები

მონაცემები აღებულ იქნა აფხაზეთიდან იძულებით გადააღილებულ პირთა და თბილისელი ბავშვების რეგისტრირებულ სამედიცინო ისტრიების საფუძველზე. აღნიშნული მონაცემები მოიცავდა შ.პ.ს. "აფხაზეთიდან იძულებით გადააღილებულ პირთა თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკაში" აღრიცხვაზე მყოფ, 1992, 1993 და 1994 წლებში დაბადებულ 1611 და იმავე წლებში დაბადებულ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის №10 ბავშვთა პოლიკლინიკაში (ამჟამად №6 სამქურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი) რეგისტრირებულ 2149 ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას (ცხრილი I).

ცხრილი 1

### 1992-1994 წლებში დაბადებული ბავშვების რაოდენობა

| ბავშვთა ჯგუფი       | დაბადების წელი |      |         |      |         |      | სულ<br>(აბს.) |  |
|---------------------|----------------|------|---------|------|---------|------|---------------|--|
|                     | 1992 წ.        |      | 1993 წ. |      | 1994 წ. |      |               |  |
|                     | აბს.           | %    | აბს.    | %    | აბს.    | %    |               |  |
| ლიტოლვილთა ბავშვები | 664            | 41,2 | 497     | 30,8 | 450     | 28   | 1611          |  |
| თბილისელი ბავშვები  | 724            | 33,7 | 734     | 34,1 | 691     | 32,2 | 2149          |  |

ამ მონაცემების მიხედვით, აფხაზეთიდან იძულებით გადააღილებულ პირთა 63 (3,9%) ბავშვს გამოუვლინდა გონიერივი განვითარების ჩამორჩენა, მაშინ, როცა აღნიშნული მაჩვენებელი თბილისელ ბავშვებში შეადგენდა 0,5%-ს (12 ბავშვი).

რაც შეეხება კლინიკურ სტატუსს, აქ გამოიკვეთა ძირითადად ორი ჯგუფი:

I ჯგუფი – რომელთაც გონიერივ განვითარებაში ჩამორჩენა და დარღვევები ფსიქომოციურ სფეროში აღენიშნათ, როგორც დამოუკიდებელი სიმპტომი. (63 ბავშვი). ამ ჯგუფში შევიდა ლიტოლვილთა 51 და თბილისელთა 12 ბავშვი.

II ჯგუფი – რომელთაც ეს ცელილებები გამოუვლინდათ, როგორც ბავშვთა ცერებრული დამბლის თანმხელები სიმპტომი. (12 ბავშვი). ამ შემთხვევაში ყოველი მათგანის მშობელი აფხაზეთიდან ლიტოლვილი იყო (ცხრილი 2 და 3).

**ლტოლვილთა 1992, 1993 და 1994 წლებში დაბადებული  
დაავადებული ბავშვების რაოდენობრივი თანაფარდობა**

| წლები | ჯგუფი | გოგონა | %  | ვაჟი | %  | საერთო რაოდ. | %    | სულ | %    |
|-------|-------|--------|----|------|----|--------------|------|-----|------|
| 1992  | I     | 12     | 57 | 9    | 43 | 21           | 33,4 | 33  | 52,4 |
|       | II    | 3      | 25 | 9    | 75 | 12           | 19   |     |      |
| 1993  | I     | 9      | 50 | 9    | 50 | 18           | 28,6 | 18  | 28,6 |
|       | II    | --     | -- | --   | -- | --           | --   |     |      |
| 1994  | I     | 3      | 25 | 9    | 75 | 12           | 19   | 12  | 19   |
|       | II    | --     | -- | --   | -- | --           | --   |     |      |

**ცხრილი 3**

**1992 წელს დაბადებული თბილისელი დაავადებული ბავშვები**

| წლები | ჯგუფი | გოგონა | %  | ვაჟი | %  | საერთო რაოდ. | %   |
|-------|-------|--------|----|------|----|--------------|-----|
| 1992  | I     | 3      | 25 | 9    | 75 | 12           | 100 |
|       | II    | --     | -- | --   | -- |              |     |

**შედეგები და მათი განხილვა**


აფხაზეთიდან ლტოლვილთა ბავშვების ისტორიებში რეგისტრირებული დიაგნოზების განხილვის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მათ დედებზე ორსულობის პერიოდში მოქმედი, საომარი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული მწვავე სტრესი და შემდგომი ქრონიკული სტრესული მდგომარეობა (კომბინირებული სტრესი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გონებრივი განვითარების ჩამორჩენის სიხშირე ლტოლვილთა ბავშვებში, რომელთა დედებმა ორსულობის პერიოდში განიცადეს მწვავე და ქრონიკული სტრესის ზეგავლენა, 5-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე თბილისში ადგილობრივად მცხოვრებ ბავშვებში, რომელთა დედებს ორსულობის პერიოდში არ განუცდიათ მწვავე სამხედრო სტრესის ზემოქმედება. ჩვენი მასალებით გამოვლინდა გონებრივი განვითარების ჩამორჩენის პრევალირება ბიჭებში, რაც ეთანხმება სხვა ავტორთა მონაცემებსაც [3].

შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა სტიუდენტის, მანუიტნის და ვილგოკსონის კრიტერიუმებით. სარწმუნობის ხარისხი იყო  $p < 0,05$ .

მესსიერების დაქვეითება ლტოლვილი მოსახლეობის ბიჭებში უფრო მეტად აღინიშნება (36), ვიდრე გოგონებში (27).

მესსიერების დაქვეითებით მიმდინარე გონებრივ განვითარებაში ჩამორ-

ჩენილ ბაგშებში განსაკუთრებით გამოიყოფა ოჯახის „ფსიქოლოგიურია მიკროკლიმატის“ ფაქტორები: ბაგშების მიმართ მშობლების უცურადღებობა, ოჯახში მშობლებს შორის განხეთქილების არსებობა, გონებრივად ჩამორჩენილი მშობლები ან და-ძმები, ხშირი კონფლიქტი ოჯახში, აღკორდიზმი მამის, დედის ან და-ძმების მხრივ, გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენილ ბაგშებთან ხშირი კონტაქტი ოჯახში ან სკოლაში.



სურ. 1. გონებრივი განვითარების ჩამორჩენა თბილისელ და ლტოლვილთა ბაგშებში.

მწვავე ფსიქოტრავმის ფონზე გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენა ხშირად მედაგნდება ლოგონევროზთან, ეპილეფსიასთან და ფობიებთან ერთად. ქრონიკული ფსიქოტრავმის ფონზე აღინიშნება ამხანაგებთან, პედაგოგებთან, სკოლაში ურთიერთობის გამწვავება. ასეთ ბაგშებს ხშირად აღინიშნებათ აკვიატებული შიშები.

ავადმყოფთა პერინატალური ანანეზიიდან აღსანიშნავია მონაცემები, როგორიცაა ომის მიერ მიყენებული ფსიქიური სტრესის მოქმედება ორსულობის I და II მეორე ტრიმესტრში (43), დედის რესპირატორულ-ვირუსული ინფექციები ფეხმძიმობის მეორე ნახევარში (17), ორსულობის პერიოდში კომპაქტურად ერთ ან ორ ოთახში ცხოვრება (57), სიგარეტის პასიური წევა (59 შემთხვევაში). სხვა მავნე ფაქტორებიდან აღსანიშნავია ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება, ალკოჰოლის ჭარბად ხმარება და სხვა.

ამრიგად, ლოკალური სამხედრო კონფლიქტის ზონაში ნამყოფ ლტოლვილთა და თბილისელ ბაგშეთა გონებრივი განვითარების შესწავლამ გამოავლინა აღნიშნული პათოლოგიის ეტიოლოგიის, პათოგენეზისა და კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური კვლევის ახალი მიმართულებები. საომარი კონფლიქტის ზონაში ნამყოფი და მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ბაგშებში გამოვლენილ იქნა მეხსიერების დაქვეითების დიდი პროცენტი, საომარი კონფლიქტის ზონაში ნამყოფმა ყოველმა მე-4 ბაგშემა განიცადა რეადაცტაციის სიძნელეები ახალ საცხოვრებელ ადგილებში, რაც გამოიხატება ფსიქოსომატური და ნევროლოგიური ჩივილების მრავალფეროვნებით.

რეკომენდებულია, რომ საომარი კონფლიქტის ზონაში ნამყოფი დებულების მეხსიერებადაქვეითებულ ბავშვებს ჩაუტარდეთ მკურნალობა ფსიქოსომატური დეზადაპტაციის მეთოდით.

## ლიტერატურა

1. Adams R.A., Gordon C., Spangler A.A. J. Am. Diet. Assoc., 2001, 8, 962-966.
2. Bjorn G.J., Bjorn A. Nord. J. Psychiatry, 2004, 58, 193-198.
3. Carballo M., Smajkic A., Zeric D., Dzidowska M., Gebre-Medhin J., Van Halem J. J. Biosoc. Sci., 2004, 36, 463-477.
4. Fiszman A., Alves-Leon S.V., Nunes R.G., D'Andrea I., Figueira I. Epilepsy Behav., 2004, 5, 818-825.
5. Fox P.G., Rossetti J., Burns K.R., Popovich J. Int. J. Psychiatr. Nurs. Res., 2005, 11, 1227-1236.
6. Gerritsen A.A., Bramsen I., Deville W., van Willigen L.H., Hovens J.E., van der Ploeg H.M. In: Soc. Psychiatry, Psychiatr. Epidemiol., Amsterdam, 2005.
7. Ghosh N., Mohit A., Murthy R.S. J. R. Soc. Health, 2004, 124, 268-270.

## ВЛИЯНИЕ СТРЕССА НА УМСТВЕННОЕ РАЗВИТИЕ ДЕТЕЙ БЕЖЕНЦЕВ

**К. Тухашвили, Ф. Каландариишвили, Н. Митагвария, В. Бершишивили,  
Е. Абзианидзе**

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

Было изучено умственное развитие детей лиц, вынужденно перемещенных из Абхазии, рожденных в 1992, 1993 и 1994 годах и умственное развитие детей, рожденных в Тбилиси в те же годы. Было установлено, что число детей с отставанием умственного развития среди детей беженцев – 63 (3,9%) – в пять раз больше числа детей с данным симптомом среди их тбилисских ровесников – 12 (0,5%).

В данный момент, решающую роль сыграло вызванное войной хроническое стрессовое состояние, которое отрицательно повлияло на беременных женщин и внутриутробный плод. Впрочем, не менее важна и семейная атмосфера в семьях беженцев.

Каждый 4-й ребенок, побывавший в зоне военного конфликта, испытал трудности реадаптации в новых местах проживания, что выражается многообразием психосоматических и неврологических жалоб.

## STRESS INFLUENCE ON MENTAL DEVELOPMENT OF CHILDREN OF REFUGEES

*K. Tukhashvili, F. Kalandarishvili, N. Mitagvaria, V. Berishvili, E. Abzianidze*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

Mental development of children born in 1992, 1993 and 1994 in forcibly displaced people from Abkhazia and the children born in the same years in Tbilisi, has been studied. It was clear that number 63 (3,9%) of children with mental defects in the displaced fivefold exceeds the number – 12 (0,5%) – of children of the same age with the above symptom, residing in Tbilisi.

At present, chronic stress situation caused by war played a decisive role, which negatively influenced both pregnant women and their prenatal babies. Though most important is atmosphere in the families of the refugees.

Every fourth child from the conflict zone, experienced re-adaptation difficulties in new places of residence, and it is expressed by varieties of psycho-somatic and neurological complaints.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2007, გ. 33, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. A, 2007, т. 33, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2007, vol. 33, No. 4.

## შევიტანების და გუდიანი პირთვის ელექტრული გაღიზიანების გავლენა ცენტრალური რუსი ნივთიერების ნეირონულ აქტივობაზე ცოცხალური რეზლექსის განხორციელებისას

**თ. ტყემალაძე, გ. ცაგარელი, გ. ბერიშვილი, თ. ლადიძე,  
გ. ღურწებაძე, ნ. ფირცხელაძე, ე. აბზიანიძე**

ვ. ბერიგაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი;  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 5.07.2007

ქრონიკული ექსპერიმენტის პირობებში თეთრ ვირთაგვებზე ნანახია, რომ შავი სუბსტანციის (შს) და კუდიანი ბირთვის ელექტრული სტიმულაცია იწვევს ცენტრალური რუსი ნივთიერების “off” ნეირონების გააქტივურებას, “on” ნეირონების აქტივურობის დათრგუნვას და კუდის აწევის რეფლექსის დატენტური პერიოდის ზრდას. დოფამინერგული რეცეპტორის ანტაგონისტის ალკოჰოლის შემდგე შს-ს გაღიზიანებით გამოწვეული ანტინოციცეპტური ეფექტი მცირდება. პარლოველის (0,1-1,0 მგ/კგ) ინექცია, ისევე, როგორც მორფინის (2-4 მგ/კგ), განაპირობებს ნოციცეპტური რეფლექსის დატენტური პერიოდის დოზადამოეკიდებულ ზრდას. შს-ს ქეზზღურბლოვანი ელექტრული გაღიზიანება მორფინის სუბსტანგვეზიური დოზის (0,5-1,0 მგ/კგ) ფონზე იწვევს მორფინის მოქმედების პოტენცირებას. შს-ს ანტინოციცეპტური მოქმედება მტკიფნეულ აფერენტულ ასერტივულ სისტემების ურთიერთქმედებით.

**საკანონო სიტყვები:** შავი სუბსტანცია, ცენტრალური რუსი ნივთიერება, კუდიანი ბირთვი, კუდის აწევის რეფლექსი

ლიტერატურის მონაცემების თანახმად, ნოციცეპტური აფერენტაციის მოდულაციაში მონაწილეობს შავი სუბსტანცია (შს) [3, 10] და კუდიანი ბირთვი (კბ) [6, 8], მაგრამ ურთიერთსაწინააღმეგოა მონაცემები მათი როლის შესახებ ოპიატურ და არაოპიატურ ანალგეზიაში. ჩვენი გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ ცხოველებში მორფინის და დოფამინერგული რეცეპტორების აგონისტის, პარლოველის, პერიოტონეუმში შევანა, ოპიატებით გამოწვეული ანალგეზიის დოზადამოკიდებულ ცვლილებას იწვევს და მორფინის მიმართ ტოლერანტობას ამცირებს [1]. ამ ფაქტიდან



გამომდინარე, საინტერესოა ანტინოციცეპტური სისტემის ფუნქციონირებაში შეს- და პბ-ს ელექტრული გადიზანების, დოფამინერგული რეცეპტორების აგონისტის და ანტაგონისტის სისტემური ინჟინირების (ცრნ) ნეირონულ აქტიურობაზე და მორფინით გამოწვეულ ანალგეზიაზე.

## მასალა და გეთოდება

ცლები ტარდებოდა ოქორ ზრდასრულ ვირთაგვებზე (200-250 გ, 25 ცხოველი) ქრონიკული ექსპერიმენტის პირობებში. ცრნ-ს ვენტრომედიალური უბნების ნეირონული აქტიურობა აღირიცხებოდა ვოლფრამის მიკროელექტროდებით, რომელთა გადაადგილება შესაძლებელი იყო მიკრომანიპულატორით. ნეირონული აქტივობა აღირიცხებოდა ენცეფალოგრაფზე და მაგნიტურ ფირზე. აღრიცხებული ჩანაწერები მაგნიტური ფირიდან დასამუშავებლად, სპეციალური სიხშიროვანი დისკრიმინატორით გადაიტანებოდა ანალოგურ-ციფრულ ანალიზატორზე Anops-101-ზე. მტკიცნეული გადაზიანების მოდელად ადგებულ იქნა სითბური ფოკუსირებული სხივით ვირთაგვის კუდის გადიზანება [7]. კუდის აწევის რევლექსი ტკივილის შეგრძენების მანიშნებელი იყო. შეს- და პბ-ს გადიზიანება ხდებოდა სტერეოტაქსურად ორიენტირებული კონსტანტანის ელექტროდებით.

ნეიროფარმაკოლოგიური ანალიზისათვის გამოიყენებოდა ნარკოტიკული ანალგეტიკები (მორფინი და ფენტანილი – 0,1-4,0 მგ/კგ) და დოფამინერგული რეცეპტორების აგონისტი – პარლოდელი და ანტაგონისტი – ალკოჰოლი (0,1-1,2 მგ/კგ).

ნეირონების მოქმედების უჯრედგარეთა პოტენციალები მინიატურული კაოთდური გამამეორებლის მეშვეობით მიეწოდებოდა ბიოპოტენციალთა გამაძლიერებელს, იქიდან კი – ორსხივიან ოსცილოგრაფს. ნეირონული აქტივობა ოსცილოგრაფის ეკრანიდან რეგისტრირდებოდა ფოტოფირზე, მაგნიტურ ფირზე, ანალოგურ-ციფრულ ანალიზატორზე Anops-101-ზე შემდგომი დამუშავებისათვის. ანალიზატორის მეშვეობით იგებოდა სიხშირეთა და იმპულსობრივი ინტერვალების განაწილების პისტოგრამები

ვირთაგვებზე მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა სტიუდენტის t-ტესით.

## უეფაბი და გათი განხილვა

მტკიცნეული გადიზიანების საპასუხოდ ცრნ-დან აღირიცხება ნეირონების ოთხი ჯგუფი: 1. ნეირონები, რომლებსაც განმუხტვათა დაბალი სიხშირე (1-2 იმპ/წმ) ახასიათებს და აქტიურდება მხოლოდ მტკიცნეულ გადიზიანებაზე (ე.წ. ნოციცეპტური – “on” ნეირონები); 2. ნეირონები, რომლებსაც ახასიათებს შედარებით მაღალი სიხშირის ფონური განმუხტვები (10-30 იმპ/წმ) და მტკიცნეულ გადიზიანებას ტონური შეაგვებით პასუხობს (“off” ნეირონები); 3. ნეირონები, რომლებიც ტონური გააქტიურებით პასუხობს როგორც მტკიცნეულ (ფოკუსირებული სხივი), ისე

არამტკივნეულ (შეხება) გაღიზიანებას (ე.წ. კონვერგენტული ნეირონები)  
და 4. ნეირონები, რომლებიც არ პასუხობს არც მტკივნეულ და არც  
არამტკივნეულ გაღიზიანებას, მაგრამ ოპიატების ზემოქმედებით მათი  
აქტიურობა იზრდება (ე.წ. ნეიტრალური ნეირონები) [1, 2].

კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდი მტკივნეული გაღიზიანების საპასუხოდ 4-7 წმ-ის ტოლია. შეს-ს ელექტრული გაღიზიანება (0,5-2,0 ვ, 50-100 იმპ/წმ, 0,1 მს) იწვევს კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდის გახანგრძლივებას 10-11 წმ-დღე. ამ დროს ცრნ-ს “off” ნეირონები აქტივდება, ხოლო “on” ნეირონების განმუხტვათა სისშირე მცირდება (სურ. 1). ამავე დროს აღინიშნება ნეიტრალური ნეირონების გააქტიურება.

პბ-ს იგივე პარამეტრებით ელექტრული გაღიზიანებისას ცრნ-ს “off” ნეირონების აქტიურობა იზრდება, ხოლო “on” ნეირონების აქტიურობა სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს არ გაანიცდის. ასევე სტატისტიკურად არასარწმუნოდ იცვლება კუდის აწევის რეფლექსის ფარული ჰერიოდი.

დოფამინერგული რეცეპტორის ანტაგონისტის ალკოპრიდის შეყვანის შემდეგ შეს-ს გაღიზიანებით გამოწვეული ანტინოციცეპტური ეფექტი მცირდება. ალკოპრიდის შეყვანის ფონზე მტკივნეული გაღიზიანების საპასუხოდ კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდი 5-7 წმ-ს შეადგენს. 0,05 მგ/კგ პარლოდელის შეყვანა არ ცვლის კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდს, მაშინ, როდესაც 0,1 მგ/კგ პარლოდელი იწვევს ლანგტენტური პერიოდის მცირე ცვლილებას.


მორფინის ინექცია (2-4 მგ/კგ) განაპირობებს ლატენტური პერიოდის დოზადამოკიდებულ ზრდას. პარლოდელის წინასწარი შეყვანა (0,05 მგ/კგ) გავლენას არ ახდენს კუდის აწევის რეფლექსის ხანგრძლივობაზე, მაგრამ პარლოდელის 1 მგ/კგ დოზით შეყვანისას აღვილი აქვს კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდის ზრდას (სურ. 1).

ამრიგად, პარლოდელის მცირე დოზები (0,05 მგ/კგ) არსებით გავლენას არ ახდენს მორფინის ანალგეზიურ ეფექტზე, მაგრამ პარლოდელის დოზის გაზრდა 1 მგ/კგ-მდე ახდენს მორფინის ანალგეზიური მოქმედების პოტენციებას.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მორფინის სუბანალგეზიური დოზა (0,5-1,0 მგ/კგ) და შეს-ს ქვეზღურბლოვანი ელექტრული გაღიზიანება გავლენას არ ახდენს კუდის აწევის რეფლექსის ფარულ პერიოდზე. შეს-ს ქვეზღურბლოვანი ელექტრული გაღიზიანება მორფინის (0,5-1,0 მგ/კგ) ინექციის ფონზე, იწვევს მორფინის ანალგეზიური მოქმედების პოტენციებას. შეს-ს ქვეზღურბლოვანი ელექტრული გაღიზიანებისას, მორფინული ანალგეზიის ფონზე, ალკოპრიდის შეყვანა განაპირობებს შეს-ს ელექტრული გაღიზიანების გავლენის დათრგუნვას. უფრო მეტიც, აღგილი აქვს მორფინის ანალგეზიური მოქმედების შემცირებას (სურ. 1).

ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, დოფამინერგული სისტემა ჩართულია მტკივნეული აფერენტაციის მოდულაციის პროცესში [3, 10]. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ნიგროსტრიარული დოფამინერგული სისტემა პასუხობს

სხვადასხვა სახის მტკიცნეულ სტიმულზე [4, 9]. ჩვენი მონაცემებით, ჰპრ ლოდელის ინქცია არსებითად არ ცვლის აუდის აწევის რეფლექსის ლატენტურ პერიოდს, მაგრამ პარლოდელი ღოზადამოკიდებულად ზრდის მორფინის ანალგეზიურ ეფექტს, რაც კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდის ზრდაში გამოიხატება. ასევე, შეს- ქვეზღურბლოვანი ელექტრული გაღიზიანება მორფინის (0,5-1,0 მგ/კგ) სუბანალგეზიური ღოზის ფონზე იწვევს ანალგეზიური მოქმედების პოტენციირებას. შეს- ქვეზღურბლოვანი ელექტრული გაღიზიანებისას, მორფინული ანალგეზიის ფონზე ალკოპრიდის შეყვანა იწვევს შეს- ქლექტრული გაღიზიანების გავლენის დათრგუნვას. უფრო მეტიც, ადგილი აქვს მორფინის ანალგეზიური მოქმედების შემცირებას. შესაძლებელია, რომ შე-ში აღმოცენებული პროცესები ჩართავს ცრნ-ს და იწვევს ანალგეზიას [1, 5, 6].



სურ. 1. კუდის აწევის რეფლექსის ლატენტური პერიოდის ცვლილება შავი სუბანაციის გაღიზიანებისა და სხვადასხვა ნივთიერებების შეყვანის ფონზე. 1 – ნორმა, 2 – შე-ის ელექტრული გაღიზიანების შემდეგ, 3 – ალკოპრიდის ფონზე შე-ის გაღიზიანება, 4 – მორინის სუბანალგეზიური ღოზის და შე-ის ქვეზღურბლოვანი გაღიზიანებისას, 5 – მორფინის ანალგეზიური ღოზა.

არ არის გამორიცხული არაოპიატური მექანიზმების ჩართვაც, ვინაიდან, შე იძლევა პირდაპირ პროექციას სომატოსენსორულ ქრექთან, რომელიც ორმხრივად არის დაკავშირებული ცრნ-თან. ჩვენი მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვივარაულოთ, რომ შე-ს და პბ-ს ანტინოციცეპტური მოქმედება მტკიცნეულ აფერენტაციაზე ხორციელდება ოპიატური და არაოპიატური მექანიზმით. ეს ეფექტი ოპიატური და ღოფამინერგული სისტემების ურთიერთქმედების შედეგი უნდა იყოს.

## ლიტერატურა

- აბზანიძე ქ. ტკიცილის ნეირობიოლოგიური მექანიზმები. მონოგრაფია. 2006.
- აბზანიძე ე., ბეგელაძე ლ., ბერიშვილი ვ., გურუქა გ., ლაგიძე თ., ბუთხუზი თ. Сообщения АН ГССР., 1990, 137, 241-243.

3. Лабахуа Т.Ш., Бутхузи С.М., Бекая Г.Л., Джанашия Т.К., Каишакишивили Р.П., Гедеванишвили Г.И., Абзианидзе Е.В., Гурицкая Г.П., Лагидзе Т.П. Изв. АН Грузии, Biol. сер. А, 2004, 30, 517-525.
4. Tkemaladze T., Lagidze T., Cagareli M., Berishvili B., Parikhadze B., Abzianiidze E. Известия АН Грузии, Biol. серия, А, 2006, 32, 849-854.
5. Baumleister A.A. Brain Res., 1991, 557, 136-145.
6. Chudler E.H., Dong W.K. Pain, 1995, 60, 3-38.
7. Hardy J.D., Jacobs I., Meixner M.D. J. Appl. Physiol., 1953, 5, 725-739.
8. Nagy A., Paróczy Z., Norita M., Benedek G. Eur. J. Neurosci., 2005, 22, 419-424.
9. Nagy A., Eördegh G., Paróczy Z., Márkus Z., Benedek G. Eur. J. Neurosci., 2006, 24, 917-924.
10. Wilcox G. L. In: IASP Refresher Courses on Pain Management. Vienna, Austria, 1999, 573-591.

## ИЗУЧЕНИЕ ВЛИЯНИЯ ЭЛЕКТРИЧЕСКОГО РАЗДРАЖЕНИЯ ЧЕРНОЙ СУБСТАНЦИИ И ХВОСТАТОГО ЯДРА НА НЕЙРОННУЮ АКТИВНОСТЬ ЦЕНТРАЛЬНОГО СЕРОГО ВЕЩЕСТВА ВО ВРЕМЯ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ НОЦИЦЕПТИВНОГО РЕФЛЕКСА

*Т. Ткемаладзе, М. Цагарели, В. Беришвили, Т. Лагидзе, Г. Гурицкая,  
Н. Пирцхелани, Е. Абзианидзе*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили, Тбилиси; Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

На белых крысах, в условиях хронического эксперимента, показано, что электрическая стимуляция черной субстанции (ЧС) и хвостатого ядра вызывает активацию "off" и торможение "on" нейронов центрального серого вещества (ЦСВ), а также увеличение скрытого периода рефлекса поднятия хвоста. Введение 5 мг/кг алкоприда, антагониста дофаминергических рецепторов, уменьшает антиноцицептивный эффект раздражения черной субстанции. Введение парлодела (0,1-1,0 мг/кг), как и инъекция морфина (2-4 мг/кг), вызывает дозо-зависимое увеличение латентного периода ноцицептивного рефлекса. Подпороговое электрическое раздражение ЧС на фоне введения субанальгетической дозы морфина (0,5-1,0 мг/кг) вызывает потенцирование эффекта морфина. Предполагается, что антиноцицептивное действие ЧС на ноцицептивную афферентацию осуществляется взаимодействием опиатной и дофаминергической систем.

## INFLUENCE OF ELECTRICAL STIMULATION OF SUBSTANTIA NIGRA AND NUCLEUS CAUDATUS ON NEURONAL ACTIVITY OF CENTRAL GRAY MATTER DURING PERFORMANCE OF NOCICEPTIVE REFLEX

T. Tkemaladze, M. Tsagareli, V. Berishvili, T. Lagidze, G. Gurtskaia,  
N. Pirtskhelani, E. Abzianidze

I. Beritashvili Institute of Physiology, Tbilisi; Tbilisi State Medical University

### SUMMARY

In chronic experiments on albino rats it was shown that electrical stimulation of *substancia nigra* (SN) and *nucleus caudatus* induces activation of the "off" neurons and inhibition of "on" neurons of the central gray matter (CGM); the latency of the tail-flick reflex was increased as well. After injection of alkoprid, the antagonist of dopaminergic receptor, the antinociceptive effect induced by stimulation of SN decreased. Injection of parlodel (0.1-1.0 mg/kg), as well as of morphine (2-4 mg/kg) increased latent period of nociceptive reflex in a dose-dependent manner. Subthreshold electrical stimulation of SN against a background of subanalgetic dose of morphine (0.5-1.0 mg/kg) induced potentiation of morphine's effect. Antinociceptive effect of SN on nociceptive afferentation must be accomplished through interaction of opiate and dopaminergic systems.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2007, გ. 33, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. A, 2007, т. 33, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2007, vol. 33, No. 4.

## მოყარდიუმის ექსარიმენტული იშვებიარება უზარფარზუაზიული დაზიანების ზეგავლენა გულის რიტმსა და ტროპონის I-ს პონცენტრაციაზე სისხლში

**თ. უბილავა, ა. მეგრელიაძე, მ. ჯანგაგაძე, ნ. ხოდელია, ზ. ჩხაიძე**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, თბილისი; ა. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 31.07.2007

მიოკარდიუმის ინფარქტის (ზ0) განვითარების მწვავე სტადიაში დაზიანების კერა ყალიბდება იშემია/რეპერფუზიის (0/რ) მექანიზმით და ხასიათდება ორგორც მორფოლოგიური, ისე ფუნქციური ჰეტეროგენურობით. კოაგულაციურ ნეკროზთან ერთად ვითარდება აპოპტოზი, სტანინგი, პიბერნაცია, რის მიზნები არა მარტო იშემია, არამედ თანმხლები რეპერფუზიაც. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა მიოკარდიუმის ექსპერიმენტული ი/რ დაზიანების ზეგავლენის შესწავლა გულის რიტმსა და ტროპონის I-ს (TnI)კონცენტრაციაზე სისხლში.

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო შინშილას ჯიშის 20 ბოცვერი (2,5-3,0 კგ). ცხოველები დაყოფილი იყო 2 ჯგუფად და 4 ქვეჯგუფად (5-5 ცხოველი). I ჯგუფში ხდებოდა მ0-ს მოღელიორება მარცხენა კორონარული არტერიის პროჭ-სიმაღლური ლიგირებით (2 და 6 საათი). II ჯგუფში ექსპერიმენტის მე-2 და მე-6 სთ-ზე ხდებოდა ლიგატურის მოხსნა (რეპერფუზია 1 სთ განმვლობაში). ცხოველი იმყოფებოდა კარდიომონიტორული მეთვალყურეობის ქვეშ. სისხლში ისაზ-დერებოდა TnI დონე.

რეპერფუზიდან 1 საათის შემდეგ, II ჯგუფში I-თან შედარებით, ტრიპონის I-ს კონცენტრაცია შეტი იყო როგორც 2, ასევე 6 საათის შემდეგ. ამავე ჯგუფში ადინიშნა მებ მონაცემების (რიტმი, ჟულსი) უფრო ღრმა ცვლილებები, თუმცა გულის რიტმის დარღვევის ხარისხი და TnI-ს კონცენტრაციის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო 6-საათიანი იშემის შემდგომ ჩატარებული რეპერფუზიის დროს.

მიღებული შედეგები ადასტურებს რეპერფუზიის დროს გულის კუნთის დაზიანების გაღრმავებაზე, განსაკუთრებით ხანგრძლივი (6 საათი) იშემის შემდგომ ჩატარებული რეპერფუზიის პირობებში. ამასთან, TnI-ს კონცენტრაცია უფრო ზუსტად ასახვდა მიოკარდიუმის დაზიანების სიმძიმეს, ვიდრე ეპზ-ზე დაზიანების პოტენციალის (S-T) დინამიკა.

საკვანძო სიტყვები: იშემია/რეპერფუზია, ტროპონის I, მებ, ბოცვერი

ჯანმრთელობის 2005 წლის მონაცემებით, კარდიოვასკულური დაავადებების და მისი გართულებებით, მათ შორის მიოკარდიუმის ინფარქტით, ყოველწლიურად 17 მილიონი ადამიანი იღებება. ეს პრობლემა მეტად აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან ჯანმრთელობის მონაცემებით (2005) საქართველოში განცილების მოსახლეების 303-ს, 100.000 მოსახლეზე, რაც საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით (223 – 100.000 მოსახლეზე) საქმაოდ მაღალია (WHO Statistics annual 2005).

როგორც ცნობილია, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის პლინიური სიმძიმე დამოკიდებულია არა მარტო აპოპტოზით და კოაგულაციური ნეკროზით გამოწვეული დაღუპული უჯრედების რაოდენობაზე, არამედ პერიონდაზე მდგომარეობაზე [2]. ბოლო პერიოდის კვლევებით დაღგენილია დაზიანებული ეკრის ფუნქციური პეტეროგენობა [1]. სწორედ აქედან გაჩნდა ცნება “პიძერნირებული მიოკარდის” შესახებ, რაც გულისხმობს იშემირებული მიოკარდიუმის კუმშვადობის შექცევად დაქვეითებას, რაც უნდა განვიხილოთ, როგორც ადაპტაციური რეაქცია პიპოპერფუზიის პირობებში, კარდიომიოციტის ჟანგბადით მომარაგებასა და მოთხოვნილებას შორის აღმოცენებული შეუსაბამობის კორექციისათვის. ამგარი პიპომეტაბოლური მდგომარეობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მაკროერგების (ატვ) ეკონომიურ ხარჯვას და იშემირებული კარდიომიოციტის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას, მაგრამ, მეორე მხრივ, პიპერნიზებული კუნთოვანი ბოჭკოების პიპოდინამია, ნეკროზული აკინეზიური უბნების არსებობის პირობებში, ამცირებს მიოკარდიუმის მასას და აქვეითებს მის ინოტროპულ ფუნქციას [9].

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მიოკარდიუმის ინფარქტის მკურნალობაში წარმატებით გამოიყენება როგორც ახალი ფარმაკოლოგიური პრეპარატები, ასევე ქირურგიული მეთოდები (კორონარული არტერიების სტენტირება, შენტირება), ამ პათოლოგიით გამოწვეული გართულებების სიხშირე მაინც საგმაოდ მაღალი რჩება [5]. მათ გამომწვევ მიზეზთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეპერფუზიის სინდრომი, რომლის პათოგენეზში წამყანი ადგილი უჭირავს იშემიური ზონის კარდიომიოციტების აპოპტოზს [6, 11]. რეპერფუზიული დაზიანების მექანიზმის ეს მნიშვნელოვანი რგოლი წარმოადგენს თანამედროვე ფარმაკოთერაპიის სამიზნეს. ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები [8, 10].

ინფარქტის დროს მიოკარდიუმის დაზიანების ხარისხის შეფასებისათვის მოწოდებულია სხვადასხვა მგრძნობელობის და სპეციფიკურობის მარკერი. მიოკარდიუმის დაზიანების იდეალური მარკერი არ უნდა იყოს სხვა ქსოვილებში, სწრაფად უნდა გამოიყოფოდეს მიოკარდიუმის დაზიანების შემდეგ; მისი კონცენტრაცია უნდა იზრდებოდეს ინფარქტის ზონის პროპორციულად და უნდა რჩებოდეს სისხლში საკმაოდ დიდხანს [4]. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა გულის ტროპონინ I-ს (TnI) შესწავლა. ტროპონინი წარმოადგენს კუმშვადობის მარკებულირებელ ცილას, იგი შედის მიოციტების წვრილი ფილამენტების მარგულირებელ კომპლექსში

და წარმოდგენილია სამი სუბერთეულით (I, C, T). დღეისთვის აღმოჩნდება მისი სამი იზოფორმა: ტროპონინი სწრაფი და ნელი (ნანახია, შესაბამისად, ჩონჩხის სწრაფ და ნელ კუნთებში), ხოლო მესამე – ტროპონინი I (C TnI), აღმოჩნდება მხოლოდ გულის კუნთები და განსხვავდება ჩონჩხის იზოფორმებისაგან [7]. CTnI-ს ეს თვისება განაპირობებს მის მაღალ სპეციფიკურობას გულის კუნთის დაზიანების დროს. ამასთან, მისი აღმოჩნდება შრატში შესაძლებელია მიოკარდიუმის ინფარქტიდან რამდენიმე წუთში და მისი კონცენტრაცია მაღალი რჩება ერთი კვირის განმავლობაში. C TnI-ს მარკერული დირებულება განსაკუთრებით მაღალია ქირურგიული ჩარევის დროს, ხოლო რაც შეეხება კრეატინინაზას, რომელიც ასევე გამოიყენება მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკური მიზნით, მისი კონცენტრაცია იმატებს ჩონჩხის კუნთების დაზიანების შემთხვევაშიც [3].

## მასალა და გეთოდება


ექსპერიმენტში გამოყენებული იყო შინშილას ჯიშის 20 ბოცვერი (2,5-3,0 კგ), საცდელი ცხოველები დაიყო 2 ჯგუფად და 4 ქვეჯგუფად (თოთოულში 5 ცხოველი). I ჯგუფში მოხდა მიოკარდიუმის ინფარქტის მოდელირება მარცხნა კორონარული არტერიის პროქსიმალური ლიგირებით (იშემის ხანგრძლივობა Ia ქვეჯგუფში 2 საათი, I $\delta$  – 6 საათი). II ჯგუფში ექსპერიმენტის მე-2 (IIa ქვეჯგუფი) და მე-6 საათზე (II $\delta$  ქვეჯგუფი) ლიგატურა მოიხსნა და განხორციელდა მიოკარდიუმის რეპერფუზია 1 საათის განმავლობაში. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა შემდეგნაირად: ცხოველები ოპერაციამდე იმყოფებოდნენ ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში. საწყისი ანესთეზია ჩატარდა კეტამინით (25 მგ/კგ, კუნთში) და ატროპინით (0,2 მგ/კგ, კუნთში). განხორციელდა საუდლე ვენის კათეტერიზაცია. ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის მიზნით ჩატარდა ტრაქოტომია და ჩაიდგა მილი (ვენტილაციის სიხშირე 50/წთ, მოცულობა 6 მლ/კგ). დამატებითი საანესთეზიო საშუალების (თიოპენტალი 25 მგ/კგ) და მიორელაქსანტის (კურამედი 0,1 მგ/კგ) შეყვანა მოხდა ვენის კათეტერით. მარცხნამხრივი IV ნეკოთაშუა თორაკოტომიის და პერიკარდიოტომის შემდეგ, მარცხნა კორონარული არტერიის პარკუქთაშუა წინა დასწვრივი ტოტის პროქსიმალურ ნაწილს დაედო ლიგატურა 8/0 აბრეშუმის ძაფით, ატრავმატული ნემსის გამოყენებით. გულმკერდი დაიხურა ყრუდ. რეპერფუზიის მიზნით ლიგირებიდან სხვადასხვა ვადაზე (2, 6 სთ), რეთორაკოტომიის შემდეგ, მარცხნა კორონარული არტერიის პარკუქთაშუა წინა დასწვრივი ტოტის პროქსიმალურ ნაწილს დაედო ლიგატურა 8/0 აბრეშუმის ძაფით, ატრავმატული ნემსის გამოყენებით. გულმკერდი დაიხურა ყრუდ. რეპერფუზიის მიზნით ლიგირებიდან სხვადასხვა ვადაზე (2, 6 სთ), რეთორაკოტომიის შემდეგ, ლიგატურა მოიხსნა (რეპერფუზია 1 სთ). ცხოველის ექსპერიმენტიდან გამოყვანა მოხდა სანარკოზე საშუალების ჭარბი დოზის შეყვანით. ექსპერიმენტის განმავლობაში ცხოველი იმყოფებოდა მუდმივი კარდიომონიტორული მეთვალყურეობის ქვეშ. ოპერაციის სხვადასხვა ვადაზე (დასაწყისში, თორაკოტომიის დროს, ლიგირებამდე, ლიგირების შემდეგ, რეპერფუზიამდე და რეპერფუზიის შემდეგ) ჩაიწერა კარდიოგრამა. ექსპერიმენტის ბოლოს, საუდლე ვენიდან (ინტრავენური კათეტერიდან) სინჯარებში აღებულ იქნა 2,0 მლ სისხლი. ტროპონინის დონე ისაზ-

დგრებოდა იმუნოფერმენტული მეთოდით – ტროპონინ I-ს ტესტ ნაკრების გამოყენებით (ImmunoLISA, Organics, Israel).

სტატისტიკური კვლევა ჩატარდა Microsoft Excel-ის დახმარებით. ჯგუფებში მიღებული მონაცემები მოცემულია  $M \pm SD$ -ს სახით. ჯგუფებს შორის განსხვავება შეფასებულია სტიუდენტის t-ტესტით ( $p < 0,05$ ).

## შედეგები და მათი განხილვა


ტროპონინ I-ს განსაზღვრის მიზნით, სისხლი აღებულ იქნა ცხოველის საუდლე ვენიდან ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ (მიღებული მონაცემები ნაჩვენებია სურ. 1-ზე). ინფარქტის ჯგუფში (I ჯგუფი, ა ქვეჯგუფი), კორონარული არტერიის ლიგირებიდან 2 საათის შემდეგ, ტროპონინ I-ს კონცენტრაცია იყო  $0,782 \pm 0,15$  ნგ/მლ, ხოლო იგივე ვადაზე რეპერფუზიის ჯგუფში (II ჯგუფი, ა ქვეჯგუფი), ეს მონაცემი საშუალოდ მაღალი იყო –  $21,44 \pm 1,98$  ნგ/მლ ( $p < 0,05$ ). ასეთივე ტენდენცია აღინიშნა II ქვეჯგუფის შემთხვევაშიც, კერძოდ, თუ 6-საათიანი იშემიის შემდეგ, TnI კონცენტრაცია I ექსპერიმენტულ ჯგუფში იყო  $29,70 \pm 3,43$  ნგ/მლ, რეპერფუზიის შემთხვევაში იგი სარწმუნოდ მაღალი იყო –  $40,27 \pm 2,5$  ნგ/მლ ( $p < 0,05$ ).



სურ. 1. ტროპონინ I-ს კონცენტრაცია სისხლში

ელექტროკარგიოგრაფიული კვლევით შეფასდა გულის შექმნვათა სიხშირე (გშს), რიტმი და იშემიით გამოწვეული ცვლილებები. ექსპერიმენტის დაწყებისას, გშს სხვადასხვა ჯგუფში ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებოდა (სურ. 2 და 3), რაც განპირობებული იყო ცხოველების სტრესისაღმი ინდიკირდულური მგნობლებობით (Iა ქვეჯგუფში გშს უდრიდა  $267,72 \pm 30,85$ /წთ, Iб –  $284,15 \pm 32,29$ /წთ, IIა ქვეჯგუფში  $275,57 \pm 32,15$ /წთ, IIბ –  $279,57 \pm 34,16$ /წთ). ანგსოუზიის შემდეგ, მარცხენა კორონარული არტერიის ლიგირებამდე, კველა ჯგუფში აღინიშნა გშს-ს სტატისტიკურად სარწმუნო


შემცირება, (Iა ქვეჯგუფში  $219,67 \pm 9,68/\text{წთ}$ , Iბ –  $204,64 \pm 15,64/\text{წთ}$ , IIა ქვეჯგუფში  $225,23 \pm 14,58/\text{წთ}$ , IIბ –  $216,23 \pm 11,36/\text{წთ}$ ). ლიგირების შემდეგ, ყველა ჯგუფში აღინიშნა მკვეთრად გამოხატული ტაქიკარდია (Iა ქვეჯგუფში ბშს შეადგენდა  $369,32 \pm 81,9/\text{წთ}$ , Iბ –  $395,64 \pm 75,36/\text{წთ}$ , IIა ქვეჯგუფში  $342,94 \pm 31,72/\text{წთ}$ , IIბ –  $395,64 \pm 56,75/\text{წთ}$ ). ყველა ჯგუფში, ექსპერიმენტიდან 2 საათში, ბშს შემცირდა, ზოგ შემთხვევაში ნორმის ფარგლებში, ხოლო ზოგ შემთხვევაში – უფრო მეტად (Iა ქვეჯგუფში ბშს იყო  $239,29 \pm 41,06/\text{წთ}$ , Iბ –  $207,65 \pm 734,58/\text{წთ}$ , IIა ქვეჯგუფში  $263,89 \pm 23,04/\text{წთ}$ , IIბ –  $245,89 \pm 37,68/\text{წთ}$ ). Iა ქვეჯგუფში ექსპერიმენტის ხანგრძლვიობა იყო 6 საათი, სადაც ცდის ბოლოს აღინიშნა მკვეთრი ბრადიკარდია ( $202,35 \pm 10,21/\text{წთ}$ ). IIა და IIბ ქვეჯგუფებში, გულის რეპერფუზია მოხდა ლიგირებიდან, შესაბამისად, 2 და 6 საათის შემდეგ, სადაც ლიგატურის მოხსნისას აღინიშნა მკვეთრი ტაქიკარდია ( $380,13 \pm 45,57/\text{წთ}$  და  $324,57 \pm 38,87/\text{წთ}$ ). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ IIა ქვეჯგუფში, რეპერფუზიიდან 1 საათის შემდეგ ტაქიკარდია შემცირდა და დაუბრუნდა ნორმის ფარგლებს ( $270,154 \pm 19,35/\text{წთ}$ ), ხოლო IIბ ქვეჯგუფში ტაქიკარდია დარჩა ცდის ბოლომდე ( $345,25 \pm 45,64/\text{წთ}$ ).



სურ. 2. გულის შეკუმშვათა სიხშირის დინამიკა Iა და IIა ჯგუფში

კარდიოგრამაზე აღინიშნა შემდეგი ცვლილებები: კორონარული არტერიის ლიგირების შემდეგ ტაქიკარიტმიასთან ერთად, ცხოველთა უმეტესობაში აღინიშნა ერთეული ექსტრასისტოლა. ამასთან ექსპერიმენტის ბოლო ვადებზე გამოვლინდა მიოკარდიუმის დაზიანების მგბ ნიშნები (ST-სეგმენტის აწევა (სურ. 4), რომლებიც უფრო გამოხატული იყო Iბ და IIბ ქვეჯგუფებში. რეპერფუზიის ჯგუფში მარცხენა კორონარული არტერიის ლიგატურის მოხსნის შემდეგ, მკვეთრი ცვლილებები აღინიშნა როგორც გულის რიტმის, ასევე მიოკარდიუმის დაზიანების ნიშნების მხრივაც. ეს ცვლილებები უფრო გამოხატული იყო IIბ ქვეჯგუფში. კერძოდ, გამოვლინდა ექსტრასისტოლური არიტმია ბიგემინის სახით. ამავე ქვეჯგუფში


ST-სეგმენტის აწევა უფრო გამოხატული იყო ვიდრე II ა ქვეჯგუფში. მა ქვეჯგუფში ST-სეგმენტი ცდის ბოლოს დაუბრუნდა იზოხაზს, II ბ ქვეჯგუფში კი, მართალია ასევე აღინიშნა ST-სეგმენტის აწევის შემცირება, ოუმცა არა იმ ხარისხით, როგორც II-ს შემთხვევაში.




სურ. 3. გულის შეკუმშვათა სიხშირის დინამიკა I ბ და II ბ ჯგუფში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, TnI წარმოადგენს მიოკარდიუმის დაზიანების ერთ-ერთ მაღალსპეციფიკურ და მგრძნობიარე მარკერს, რაც დადასტურებულია სხვადასხვა კლინიკური თუ ექსპერიმენტული კვლევებით. მიოკარდიუმის ინფარქტის დროს მისი მომატებული კონცენტრაცია კორულირებს როგორც იშემიური ზონის ფართობთან, ასევე ხანდაზმულობასთან. კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია, რომ TnI დატექცია სისხლში შესაძლებელია ინფარქტის განვითარებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ხოლო მისი მაქსიმალური დონე პიქს აღწევს 6 საათის შემდეგ, მაშინ, როცა მიოკარდიუმში მწვავე ნეკროზული ცვლილებები ასევე მაქსიმალურად ვლინდება. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ მიოკარდიუმის იშემია-რეპერფუზის ექსპერიმენტულ მოდელზე მიღებული მონაცემებიც: I ჯგუფში მიოკარდიუმის ინფარქტის მოდელირებიდან 2 საათის შემდეგ TnI-ს კონცენტრაცია ნორმასთან შედარებით იმატებს, თუმცა არ აღმატება  $0,782 \pm 0,15$  ნგ/მლ, მაშინ, როცა 6 საათისთვის იგი საგრძნობლად მაღალია. გულის კუნთის დაზიანების უფრო მძიმე სურათი ვლინდება რეპერფუზის ჯგუფში. II ჯგუფში ლიგატურის მოხსნიდან 1 საათის შემდეგ, აღებულ სისხლში TnI კონცენტრაცია მეტი იყო როგორც 2, ასევე 6 საათის შემდეგ, I ჯგუფთან შედარებით, რაც უდავოდ მიანიშნებს რეპერფუზიული


სინდრომის ჩამოყალიბებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ TnI-ს კონცენტრაცია II ჯგუფში უკვე აღწევდა საქმაოდ მაღალ ნიშნულს, რაც ადასტურებს მოსახრებას, რომ რეპერფუზიული სინდრომის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია არა მარტო პერიონდურქტული იშემიური ზონის კარდიომიოკიტების დაზიანება, არამედ აღდგენილი სისხლის მიმოქცევის შედეგად ნეიტროფილების და სხვა მაკროფაგების გადასვლა ინფარქტულ კერაში.




ა) ნორმა.




ე) II<sub>3</sub> ქვეჯუფი, ლიგირებიდან 6 საათი.




ბ) II<sub>3</sub> ქვეჯუფი, ლიგირებიდან 2 საათი.



ე) III<sub>3</sub> ქვეჯუფი, რეპერფუზიდან 30 წუთი.



გ) II<sub>3</sub> ქვეჯუფი, რეპერფუზის ბოლოს.



გ) III<sub>3</sub> ქვეჯუფი, რეპერფუზის ბოლოს.

სურ. 4. ცხოველთა ჯგუფების მპბ, ექსპერიმენტების სხვადასხვა ეტაპზე.

ამის შედეგად განვითარებული ანთებითი ჰასუხი, თავის მხრივ, განაპირობებს ინფარქტის კერაში არსებული კარდიომიოციტების და, შესაბამისად, მათი მოფილამენტების დაშლას, ეს კი აისახება TnI-ს კონცენტრაციის მატებით სისხლში. ამას ადასტურებს ეპბ მონაცემები. კერძოდ, რეპერფუზიის შემდეგ აღინიშნა გულის რიტმის უფრო მძიმე დარღვევა (პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია), ვიდრე მხოლოდ იშემიის დროს. ასევე



მიოკარდიუმის დაზიანების ეკგ-ნიშნები (ST სეგმენტის აწევა) უფრო მეტადან იყო გამოხატული II და III ქვეჯგუფში (რეპერფუზის ჯგუფი). ეს მიუთითებს, რომ რეპერფუზიული სინდრომის დროს დაზიანება ღრმავდება პერიონფარქტული იშემიური ზონის ხარჯზე, რაშიც წვლილი მიუძღვის პიპოქსის მდგომარეობაში მყოფ კარდიომიოკიტებთან ჟანგბადის მიწოდების აღდგენას.

ამრიგად, მიოკარდიუმის ინფარქტის დროს რეპერფუზიული დაზიანების ჩამოყალიბება განპირობებულია სისხლის მიწოდების აღდგენით იშემირებულ მიოკარდთან, რაც იწვევს ოქსიდაციურ სტრესს, დაზიანების კერის გაფართოებას და გაღრმავებას. ამას ადასტურებს როგორც პპ მონაცემები, ასევე შრატში TnI კონცენტრაციის დინამიკა. უნდა აღინიშნოს, რომ TnI კონცენტრაცია უფრო ზუსტად ასახავდა მიოკარდიუმის დაზიანების სიმძიმეს, ვიდრე პპ დაზიანების პოტენციალის (S-T) დინამიკა. ამიტომ, როგორც ექსპერიმენტში, ასევე კლინიკურ პრაქტიკაში, მიოკარდიუმის დაზიანების ხარისხის შესაფასებლად და დაავადების მართვის სტრატეგიის შესამუშავებლად უმჯობესია TnI კონცენტრაციის დინამიკის გათვალისწინება. ამასთან, როგორც ჩვენს მიერ მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რეპერფუზიული გართულება ნაკლები ხარისხით ვლინდება II ჯგუფში, ანუ მიოკარდიუმის ინფარქტის მოდელირებიდან 2 საათის შემდეგ, რაც მიუთითებს რომ ამ პროცედურის ჩატარება უმჯობესია უფრო ადრეულ ეტაპზე. ადრეული რეპერფუზიული დონის ძიებები საშუალებას იძლევა შევამციროთ სხვადასხვა გართულების რისკის მქონე პაციენტებში.

## ლიტერატურა

1. Амосова К.М. Метаболическая терапия повреждения миокарда, обусловленного ишемией: новый подход к лечению ишемической болезни сердца и сердечной недостаточности. Киев, Огляди, 2000.
2. Мегреладзе И.И., Шабуришвили Т.В., Санукидзе Т.В., Бахуташвили В.И. Аллергология и иммунология, 2004, 5, 370-375.
3. Adams J.E., Bodor G., Davila-Roman V., Delmez J., Apple F., Ladenson J., et al. Circulation, 1993, 88, 101-106.
4. Adams J.E., Abendschein D.R., Jaffe A.S. Circulation, 1993, 88, 750-763.
5. Buja L.M. Cardiovasc. Path., 2005, 14, 170-175.
6. Dumont E.J., Hofstra L., van Heerde W.L., van den Eijnde S., et.al. Circulation, 2000, 102, 1564-1568.
7. Etievant J.P., Chocron S., Toubin G., Taberlet C..et al. Ann. Thorac. Surg., 1995, 59, 1192-1194.
8. Jhy-Chong Liang, Hen-Rong Chen, et al. Life Sciences, 2006, 79, 1248-1256.
9. Kannel W.B., Belanger A.J. Am.J.Cardiol., 2003, 121, 951-957.
10. Lundberg K., Szweda L. Arch. Biochem. Biophys., 2006, 453, 128-132.
11. Nadal-Ginard B., Kajstura J., Leri A., Anversa P. Circ. Res., 2003, 92, 139-150.

# ВЛИЯНИЕ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ ИШЕМИИ/РЕПЕРФУЗИОННЫХ ПОВРЕЖДЕНИЙ МИОКАРДА НА РИТМ СЕРДЦА И КОНЦЕНТРАЦИЮ ТРОПОНИНА I В КРОВИ

*T. Убила, И. Мегреладзе, М. Джангадзе, Н. Ходели, З. Чхайдзе*

Институт постдипломного образования и непрерывного профессионального развития Тбилисского государственного медицинского университета, Тбилиси; Институт морфологии им. А. Натишвили, Тбилиси

## РЕЗЮМЕ

В острой стадии развития инфаркта миокарда (ИМ) формируется очаг повреждения по механизму ишемия/реперфузия (И/Р), который характеризуется как морфологической, так и функциональной гетерогенностью. В очаге коагуляционного некроза встречаются апоптоз, стенинг, гибернация, причиной которой является не только ишемия, но и реперфузия. Целью нашего исследования являлось изучение влияния экспериментального И/Р повреждения миокарда на ритм сердца и концентрацию тропонина I (TnI) крови.

Исследованы 20 кроликов породы шиншилла (2,5-3,0 кг). Животные были разделены на 2 группы и 4 подгруппы (по 5 животных). В I группе была создана модель ИМ путем перевязки левой коронарной артерии (2 и 6 часов). Во II группе, на 2-й и 6-й час эксперимента моделировали реперфузию миокарда. Животные находились под кардиомониторным наблюдением. В крови определялся уровень TnI.

После 1 часа реперфузии, во II группе, по сравнений I, концентрация TnI была больше, как после 2-х, так и после 6 часов. Также, в этих группах выявились более глубокие ЭКГ изменения (пульс, ритм), хотя степень нарушения сердечного ритма и показатели концентрации TnI были более высокие после 6 ч ишемии с последующей реперфузией.

При реперфузии усугубляется повреждение сердечной мышцы, особенно в условиях длительной ишемии и реперфузии. Вместе с тем, концентрация TnI более достоверно отображает тяжесть повреждения, чем динамика потенциала повреждения на ЭКГ.

## INFLUENCE OF EXPERIMENTAL ISCHEMIA/REPERFUSION INJURY ON CARDIAC RHYTHM AND BLOOD TROPONIN I CONCENTRATION

*T. Ubilava, I. Megreladze, M. Jangavadze, N. Khodeli, Z. Chkhaidze*

Institute of Postdiploma Medical Training and Continuous Medical Education at Tbilisi State Medical University; A. Natishvili Institute of Morphology, Tbilisi

## SUMMARY

In the acute stage of myocardial infarction (m/i) focus of injury is formed by ischemia/reperfusion mechanism, which is characterized by morphological and functional heterogeneity. There are different cell injury types in the same infarct focus – coagulation necrosis, apoptosis, stunning and hibernation, which are caused not only by ischemia but by reperfusion as well. The goal of study was elucidation of influence of experimental ischemia/reperfusion injury on cardiac rhythm and blood troponin I (TnI) concentration.

Twenty adult rabbits (2.5-3.0 kg) were used in experiments. They were divided into two groups and four subgroups (5-5 animals in each). In group I experimental design of m/i was performed by proximal ligation of left coronary artery (2-6 hours). In group II on the 2<sup>nd</sup> and 6<sup>th</sup> hour ligature was removed – reperfusion lasted 1 hour. The animals were under the ECG monitoring and TnI was evaluated in the blood.

In group II TnI concentration after reperfusion was higher than in group I. In group II ECG data were worsened (rhythm and heart rate). However these changes were more apparent during reperfusion after 6 hour ischemia.

The data obtained confirm enhancement of myocardial injury during reperfusion, particularly during reperfusion after long term ischemia. At the same time, TnI concentration was better marker of cardiomyocyte injury than dynamic of the injury potential (S-T) on ECG.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2007, გ. 33, № 4.

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2007, т. 33, № 4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2007, vol. 33, No. 4.

## პულაის ცერვული ბოჭკოები და მათი დამიელი ხასიათის მოვალეობის დროს

გ. ფარულაძე, გ. იმერლიაშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი

მიღებულია 19.07.2007

მწვავე პულაიტის დროს პისტო-მორფოლოგიური ცვლილებების შედეგად ნერვული ბოჭკოები განიცდის დემიელინიზაციას, რის შედეგადაც ხდება ადამიანის მიერ მწვავე ტკივილის აღქმა. ნერვულ ბოჭკოში ხდება დეგენერაციული ცვლილებები, არგიროფილურობის ზრდა, ოქსიფობური ნაწილაკების წარმოქმნა, რაც ხელს უშლის ნერვული იმპულსის გატარებას. პათოლოგიური პროცესის შედეგად ხდება დემიელინიზაცია და ნერვული ბოჭკოს გაშიშვლება, რაც ზრდის ნატრიუმის აასიურ შეღწევას მემბრანაში და აგზნების ინიცირებას.

პულაიტის დროს ტკივილის წარმოქმნაში მთავარ როლს ორი ფაქტორი თამაშობს: ნერვული ბოჭკოების დემიელინიზაცია და ნატრიუმის განვლადობის მომატება ნეირონის მემბრანაში.

საკანონო სიტყვები: მწვავე პულაიტი, ტკივილი, ნერვული იმპულსი, დემიელინიზაცია, ნატრიუმის განვლადობა

მიელინი ნერვული ბოჭკოს კომპაქტური სტრუქტურაა, რომელიც წარმოდგენილია ოლიგონდროციტებითა და შვანის უჯრედებით. იგი შედგება ლიპიდებისა და ცილებისაგან, გააჩნია მაღალი ელექტრული წინაღობის კოეფიციენტი, ასრულებს იზოლატორის როლს და ხელს უწყობს ნერვული იმპულსის გატარებას [1-4]. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნერვულ ბოჭკიებში დემიელინიზაციის პროცესის და ნერვული იმპულსების გატარების დარღვევის შესწავლა და ტკივილის სინდრომში დემიელინიზებული ნერვული ბოჭკოებისა და ნატრიუმის იონების როლის დადგენა მწვავე პულაიტის დროს.

### მასალა და გეთრდები

მასალები მოძიებულ იქნა კლინიკის აგადმყოფებიდან, რომლებსაც დაესვათ დიაგნოზი – მწვავე პულაიტი, ხოლო საკონტროლო სინჯად გამოყენებულ იქნა ჯანმრთელი 5 პაციენტის პულაიტის მასალა, რომელიც

მიღებულ იქნა ორთოპედიული მანიპულაციის ჩატარებამდე, კბილის და გიტალიზაციის დროს. მოხდა მასალის დამუშავება და ანათალის მიღება, ფიქსაცია, ვერცხლის იონებით იმპერეგნირება გროსის და ლავრენტიევის თანამედროვე, გაუმჯობესებული მეოდიოთ [5] და მასალის შესწავლა ტრანსმისიური ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით.

## შედეგები და მათი განხილვა

მიკროსკოპირების შედეგად მოხდა ნორმალური პულპისა და კლინიკური ფორმის შედარება, რამაც გამოავლინა ფრიად საინტერესო სურათი: ნორმის დროს, ნერვული ქსოვილი წარმოდგენილია თანაბარი დიამეტრის, ერთგვაროვანი, მკვეთრად შემოსაზღვრული კონტურებით და ერთმანეთის მიმართ პარალელურად მიმავალი ბოჭკოვებით.

ჯანმრთელ პირებში აღინიშნება თანაბარი ოქსიფილურობა, ნერვული კვანძებისა და ბოჭკოვების თანაბარი განაწილება. საპირისპირო სურათი აღინიშნება მწვავე პულპიტით დაავადებული კბილის ნერვულ ქსოვილში. ნერვული ბოჭკოს განიკვეთში კონტურები გამეჩხერებულია, აღინიშნება ბოჭკოვების დიამეტრის არაერთგვაროვნება. არათანაბარია არა მარტო ერთიანი ნერვული ბოჭკოვების კონტურები, არამედ თითოეულიც ცალცალკე. ნერვული ბოჭკოვების კონტურები არათანაბრადაა წარმოდგენილი. კერძოდ, მკვეთრად გამოხატულ კონტურს შეიძლება მოსდევდეს სუსტად გამოხატული ბოჭკოვანი სტრუქტურა. პარალელურობა დარღვეულია იმ გაგებით, რომ სიგრძივ განაკვეთში აღინიშნება დანაწევრება. სუბოდონტობლასტურ შრესთან უჯრედების განლაგება დარღვეულია, ნერვული ტოტების მდებარეობა დეზორინიტირებულია და ნერვული ტოტები ყველა მიმართულებითაა წაზრდილი. ნერვული ქსელის სიმეტრიულობა და ერთგვაროვნება დარღვეულია. საკონტროლო მასალაში მიეღინური გარსი თანაბრად ოქსიფილურია, რაც არ აღინიშნება პათოლოგიის დროს. პათოლოგიის შემთხვევაში აღინიშნება ოქსიფილურობის არათანაბარი განაწილება, შეიძლება მოხდეს მიეღინური მემბრანების განშრევება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიეღინური მემბრანების რაოდენობა მერყეობს ნორმასა და პათოლოგიის დროს, ანუ ნორმის დროს მათი რაოდენობა 25-30 - მდე მერყეობს, ხოლო პულპიტის დროს ეს მაჩვენებელი 18-20-მდეა დაქვეითებული. ამ დროს შეიძლება აღინიშნოს მიეღინური მემბრანების განშრევება, ოქსიფილური, არგიროფილური ზონების წარმოქმნა განშრევებული მემბრანების შეერთების ადგილას. რაც უფრო ახლოსაა ნერვული ქსოვილი კარიესულ კერასთან, პათოლოგიური პროცესის მწვავე შედეგები ნერვულ ბოჭკოებში უფრო მკვეთრადაა გამოხატული. ინტენსიური არგიროფილურობა იწვევს ნერვული ქსოვილის დაზიანებას. აღინიშნება ნერვული დამოლოებების რიცხვის მატება, მაგრამ, ამავე დროს, იმატებს მათი დეზორინტაციაც და პულპაში ნერვული ბოჭკოები ყველა მიმართულებითაა გაბნეული. სუბოდონტობლასტური შრე განიცდის დეგენერაციას, მიმდინარეობს უჯრედების ნეკროზი და ვაკუოლური (ბალონური) დისტროფია. იკლებს დენტინის მილაკებში ნერვული დაბოლოებების რაო-

დენობა. მიქროსკოპირებით განიღევა ორი სუბოდონტობლასტური პირველი - შესქელებული პრედენტინის სახით, მეორე კი - პირველი შრის მიმართ პერპენდიკულარულად განლაგებული ნერვული ბოჭკოებისა და დენტინობლასტების სახით. დარღვეულია საზღვარი ნერვულ ქსოვილსა და ირგვლივ მდებარე ქსოვილებს შორის, რაც რეტიტულური ქსოვილის ატროფითაა გამოწვეული.

რაც შეეხება დერმცილინდრს, შეიძლება აღინიშნოს ოვალური ოქსიფობური წარმონაქმნები, არათანაბარკონტურებიანი მრავალფორმიანი სტრუქტურები, რომლებიც მოგვაგონებს გლუვ ენდოპლაზმურ ბადესა და მიკროფილამენტებს. არგიროფილურობის გაზრდასთან ერთად ისრდება ნერვული ქსოვილის დაზიანება. ზოგიერთი მეცნიერი ხელოვნურად ახდენდა არგიროფილურობის გაზრდას პულპის დრუში ქიმიური გამღიზიანებლისა და პიპოთურმის დახმარებით. არგიროფილურობის ზრდასთან ერთად, აღინიშნებოდა ნერვული ბოჭკოების გასქელება, გაჯირჯვება და ის ადვილად ექვემდებარებოდა ეოზინითა და ჰემატოქსილინით შედებგასა და ვერცხლის იონებით იმპრეგნირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დაგასკვნათ, რომ იმპულსის გატარება ნერვულ ქსოვილში მკვეთრად განსხვავდება ნორმასა და პათოლოგიის დროს. ნორმის დროს ნერვული იმპულსი ტარდება ტრანსმიმბრანული პოტენციალის საშუალებით, რომელიც ძირითადად განპირობებულია იონებით და განყუენებულ სიდიდეს წარმოადგენს (60-90 მე). მიელინურ ნერვულ ქსოვილში, ამას ემატება რანგიეს შევიწროება, რომელიც ახდენს პოტენციალის გატარების აჩქარებას, იმპულსის სალტატორული მოძრაობებით გადაცემას. რანგიეს შევიწროება გვევლინება ადგილობრივი იმპულსის ერთგვარ რეტრანსლატორად. იქიდან გამომდინარე, რომ პულპიტის დროს ხდება ნერვული ბოჭკოების დემიელინზაცია, ხდება მათი გაშიშვლება და იმპულსის გადიდება ისე, როგორც რანგიეს შევიწროვებებში. ეს იწვევს რეტრანსლატორული უბნების რიცხვის ზრდას, რაც, თავის მხრივ, იწვევს სალტატორული იმპულსების მაჩვენებლის ზრდას. პულპიტის დროს კი, ტკივილის სინდრომი ძირითადად აღიმება ამ სალტატორული იმპულსების ხარჯზე. აგრეთვე, ტკივილის წამყვანი ფაქტორია ნერვული ბოჭკოს გაშიშვლება და დემიელინზაცია, რაც ხელს უწყობს ნატრიუმის იონებს პასიურ შეღწევას ნერვულ ქსოვილში და დამატებითი ადგილობრივი იმპულსების წარმოქმნას, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ტკივილის სინდრომის წარმოქმნაში.

ამრიგად, პულპიტის დროს ტკივილის წარმოქმნაში მთავარ როლს თამაშობს ორი ფაქტორი: ნერვული ბოჭკოების დემიელინზაცია და ნატრიუმის განვლადობის მომატება ნეირონის მემბრანაში.

## ლიტერატურა

1. Гутман Е. Функциональная регенерация периферических нервов. Москва, 2002.
2. Малко Е.В. К вопросу об иннервации зубов. Санкт-Петербург, 2002.
3. Bradlow R. Proc. Roy. Soc. Med., 1998, 32, 735-741.

4. Hattyasy D. Physiologic Elimination of the Nerves of the Deciduous Dental Pulp. Moscow, 1995.
5. Vacek Z., Plackova A. Silver Impregnation of Nerve Fibers in Teeth after Decalcification with Ethylene-diaminetetraacetic Acid. Prague, 2004.

## **НЕРВНЫЕ ВОЛОКНА ПУЛЬПЫ И ИХ ДЕМИЕЛИНИЗАЦИЯ ПРИ ОСТРОМ ПУЛЬПИТЕ**

***G. Парулава, Г. Имерлишвили***

Грузинский университет имени Давида Агмашенебели, Тбилиси

### **РЕЗЮМЕ**

Нервные волокна при остром пульпите из-за гисто-морфологических изменений претерпевают демиелинизацию, что обуславливает восприятие человеком болевого ощущения. В нервном волокне происходят дегенеративные изменения, возрастание аргирофильности, выявление оксифильных частиц, что, в конечном счете, мешает проведению нервного импульса. Из-за патологического процесса, происходит демиелинизация и обнажение нервного волокна, что повышает пассивное проникновение ионов натрия через мембрану и инициирует возбуждение. При инициации болевого синдрома, главную роль играют два фактора: демиелинизация нервных волокон и увеличение проницаемости натрия через мембрану нейрона.

## **PULP NERVE FIBERS AND THEIR DEMYELINIZATION DURING ACUTE PULPITIS**

***G. Parulava, G. Imerlishvili***

David Agmashenebeli University of Georgia, Tbilisi

### **SUMMARY**

Because of the histo-morphological changes during acute pulpitis, nerve fibers become demyelinated, what causes perception of severe pain in humans. In nerve fiber several changes take place, like degenerative changes, increasing of argyrophilia, exposure of oxiphilic particles. As a result, all these factors prevent nerve impulse to pass freely. Because of the pathological process the nerve fibers demyelination and denudation do occur, what itself increase sodium ions passive penetration through membrane and initiates excitation. So, in initiating the pain syndrome the two dominating factors play the leading role: demyelination of nerve fibers and increased permeability of sodium ions through the neuron membrane.

## აღსორბაციის და აღპაზიის მოვლენა

## გაფანტული სკლეროზის დროს

**ნ. ხვიტია, ა. გაშაკიძე, მ. ჩიხლაძე, ა. ხულაძე**

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი

მიღებულია 6.08.2007

ცნობილია, რომ ადსორბცია და ადჰეზია წარმოადგენს ერითროციტების იმუნურ, ანუ დაცვით ფუნქციას, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრადა წარმოდგენილი გაფანტული სკლეროზის დროს. ადსორბაციებული ნაწილაკების ფორმაზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაულოთ, რომ ანტიგენის ნაწილაკები თავისი ბუნებით წარმოდგენილია არასპეციფიკური, ანუ ვირუსული სტრუქტურით, რაზე-დაც მიუთითებს ციტოპათოგენური ეფექტის არსებობა სისხლის ფორმიან ელემენტებში.

**საკვანძო სიტყვები:** გაფანტული სკლეროზი, ადსორბცია, ადჰეზია, ერითროციტები, კლინიკური მასალა

ერითროციტი მრავალფუნქციური სტრუქტურაა, რომელიც მონაწილეობს ჟანგბადის, ნახშირორჟანგის, ამინმეავების, ანტისხეულების, ტრქსინების, სამკურნალო საშუალებების გადატანაში, ადსორბციის, ადჰეზიასა და სხვა ფუნქციებში. გამომდინარე აქედან, ერითროციტი იკავებს წამყვან ადგილს რთულ ინტეგრალურ მარგელირებულ სისტემებში და სხვა რიგ სისტემებთან ერთად ახორციელებს ზოგადი სტრატეგიის ჩამოყალიბებას – ახდენს ორგანიზმის ადაპტირებას სახეცვლილ გარემოში. ამ პრობლემის გადაწვეტისას ერთიანდება სისხლის წითელი ფორმიანი ელემენტების ტრადიციული და არატრადიციული ფუნქციები [1-3].

კვლევის მიზანს შეადგენდა ერითროციტების ზედაპირზე ადსორბციის მოვლენის გამოკველვა გაფანტული სკლეროზის დროს.

## მასალა და მეთოდები

მასალა მოიცავს 10 კლინიკურ შემთხვევას. სისხლი აღებულ იქნა თი-თიდან, კეთდებოდა ნაცხი, რომელიც სკეციალური ფიქსაციის შემდეგ იღებებოდა ანდრესის მეთოდით და შემდეგ შეისწავლებოდა სინათლის მიკროსკოპის, Opton-ის ფირმის (გერმანია) ფოტომიკროსკოპ-III-ს საშუა-

ლებით. მიღებული შედეგების შედარებისთვის აღებულ იქნა საკონტროლო მასალა (5 პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი – ღონისძიების სისხლის გადასხმის სადგურიდან). ერთოროციტების გამოკვლევისას, განისაზღვრებოდა მათი ზომა (დიამეტრი), ადსორბცია, ადჰეზია ფორმიან ელემენტებთან.

## შედეგები და მათი განხილვა

ერთოროციტებში უცრადღებას იყერობს ადსორბციის მოვლენა. ნორმაში ადსორბცია ერთოროციტების ზედაპირზე ნულის ტოლია, კლინიკურ მასალაში კი აღგილი აქვს ინგენიურ ადსორბციას. ადსორბცია წარმოდგენილია ჟველა სახის ერთოროციტზე, გარდა პათოლოგიური ფორმებისა, სადაც ადსორბცია არ აღინიშნება. აქედან გამომდინარეობს, რომ ადსორბცია დაკავშირებულია სისხლის ფორმიანი ელემენტების ენერგეტიკულ საშუალებებთან, კერძოდ გლუკოზო-6-ფოსფოდენტროგენაზას არსებობასთან. ერთოროციტების პათოლოგიურ ფორმებზე ადსორბცია არ აღინიშნება, რადგანაც შემცირებულია აღნიშნული ფერმენტის რაოდენობა. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ადსორბცია ერთგვაროვნადაა წარმოდგენილი სხვადასხვა დიამეტრის ერთოროციტებზე, ანუ ნორმო-, მაკრო- და მიკროციტების ფორმებზე. ადსორბირებული ნაწილაკები გროვდებიან ერთოროციტების ზედაპირზე, ამავე დროს, ერთოროციტებს შორის, ე.ი. სისხლის პლაზმაში ადსორბირებული ნაწილაკები წარმოდგენილია ერთეული რაოდენობით და ისინი განსვავებულია ზომით და შედებვის ინტენსივობით ხასიათდებიან (ცხრილი I).


ცხრილი 1

### ერთოროციტები კონტროლში და კლინიკურ მასალაში

| ერთოროციტების ფორმები | საკონტროლო მასალა, % | კლინიკური მასალა, % |
|-----------------------|----------------------|---------------------|
| ნორმოციტი             | $92 \pm 5,0$         | $82 \pm 4,0$        |
| მაკროციტი             | $3 \pm 0,1$          | $5 \pm 0,1$         |
| მიკროციტი             | $4 \pm 0,1$          | $6 \pm 0,2$         |
| უჯრედი ჩრდილი         | $1 \pm 0,1$          | $4 \pm 0,1$         |
| აქანტოციტი            | –                    | $3 \pm 0,1$         |
| პათოლოგიური ფორმები   | –                    | $9 \pm 0,2$         |

უნდა აღინიშნოს, რომ ერთოროციტების სისხლის სხვა ფორმიან ელემენტებთან ადჰეზიის არარსებობა დაკავშირებული უნდა იყოს ინტენსიურ ადსორბციის მოვლენასთან. ადსორბციის მოვლენა ერთოროციტების ზედაპირზე ისეთი ინტენსიურია, რომ თითქმის მთელი მემბრანის ზედაპირია დაკავებული ადსორბირებული ნაწილაკებით და ამის გამო თითქმის არ აღინიშნება წითელ ფორმიან ელემენტებზე “თავისუფალი” მემბრანის ზედაპირი. ნაწილაკები, ადსორბირდება ერთოროციტების და თრომბოციტების ზედაპირზე, რისი შედეგიცაა მემბრანების მუხტის შეცვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადჰეზიის მოვლენა ერთორო

ციტების ზედაპირზე წარმოდგენილია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში — ერთოდ ადგენის ადგილას აღინიშნება შესხექილობა ერთოდ ადგენის მემბრანაზე (იხ. მიკროფოტოგრამები, სურ. 1 და 2).



სურ. 1. გაფანტული სკლეროზით დაავადებული პირის სისხლი. ერთოდ ადგინიშნება ერთოდ ადგენის შესხექილობა, სადაც თრომბოციტი ადგენიზიდება ერთოდ ადგენის მემბრანაზე. მიკროფოტოგრამა  $10\times2\times100$ .



სურ. 2. გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტის სისხლი. ერთოდ ადგენიზიდებული თრომბოციტები ერთოდ ადგენის შესხექილობაში განვითარება. მიკროფოტოგრამა  $10\times2\times10$ .



ცნობილია, რომ ადსორბცია და ადჰეზია წარმოადგენს იმუნურ, ანტიერიოტოციტების დაცვით ფუნქციას, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრადაა წარმოდგენილი გაფანტული სკლეროზის დროს. ადსორბირებული ნაწილაკების ფორმაზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიბენი თავისი ბუნებით წარმოდგენილია არასპეციფიკური, ანუ ვირუსული სტრუქტურით, რაზედაც მიუთითებს ციტოპათოგენური ეფექტის არსებობა სისხლის ფორმიან ელემენტებში.

## ლიტერატურა

1. Алексеев Н. Гематология. Москва, 1999.
2. Вашикель Н. Тромбоциты. Москва, 1999.
3. Минеев А.С. Педиатрия, 2000, 3, 128-131.

## ЯВЛЕНИЕ АДСОРБЦИИ И АДГЕЗИИ ПРИ РАССЕЯННОМ СКЛЕРОЗЕ

*Н. Хвитиа, И. Вашикидзе, Ц. Чихладзе, А. Суладзе*

Грузинский университет им. Давида Агмашенебели, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Известно, что адсорбция и адгезия являются проявлением имунной, защитной функцией эритроцита, которая особенно хорошо представлена на клиническом материале (речь идет, преимущественно, о явлении адсорбции при рассеянном склерозе). Основываясь на формах адсорбированных частиц, следует считать, что антиген не однороден и представлен вирусными структурами. На вирусный характер указывает наличие цитопатогенного эффекта больного.

## ADSORPTION AND ADHESION IN MULTIPLE SCLEROSIS

*N. Khvitia, I. Vashakidze, Ts. Chikhladze, A. Suladze*

Davis Agmashenebeli University of Georgia, Tbilisi

### SUMMARY

It is well known that adsorption and adhesion are functions of the immune and defence properties of the erythrocytes. Adsorption and adhesion were well expressed in the multiple sclerosis material as compared to the control one. Various forms of adsorbed particles show that the antigen is not homogenous and its structure varies. The viral origin of the antigen is shown by the presence of cytopathogenic effect in the patients' blood cells.

# 06სტრუქცია ავტორულთათვის



ეურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია - A” ბეჭდავს ბიომედიცინის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო წერილებს, რომლებიც მანამდე არსად არ იყო დაგეჭდილი და რომელიც პუბლიკაცია სხვა გამოცემებში დაგეგმილი არაა. წერილი უნდა შეიცავდეს ახალ, აქტიულურ მასალას, რომლის თქმატიკა, მეთოდოლოგია და განსჯე შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს. წერილი არ უნდა შეიცავდეს მოქავებულ მონაცემებს და დაუსაბუთებულ დასკვნებს. წერილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაერთოს რეზიუმე სამივე აღნიშნულ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას, მაგრამ არ უნდა იყოს 1000 ნაბეჭდ ნიშანზე ნაკლები. რეზიუმე უნდა შეიცავდეს წერილის სრული ტექსტის ამსახველ მოკლე, მაგრამ ადეკვატურ ინფორმაციას - კვლევის მიზანს, მეთოდებს, მიღებულ შედეგებს და გამომდინარე დასკვნებს.

საკუთრივ სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვით ხასიათის ან უფრო დიდი მოცულობის წერილები ჟურნალში იბეჭდება მხოლოდ რედაქციის დაკვა-თით ან სარედაქციო კოლეგიის თანხმობით.

ორიგინალური ექსპერიმენტული გამორკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს მეცნიერების სტანდარტული რუბრიკაციით - შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, (დამოწმებული) ლიტერატურა. უკანასკნელი მეცნიერება ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და, ბოლოს, ლათინურანბაროვანი). ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს საკანონო სიტყვების (key words) სია - არა ნაკლებ თოხისა და არა უმეტეს ათისა. ლიტერატურის სიაში საჭიროა მოტანილ იყოს ყველა ავტორის გვარი, ინიციალებით, გამოცემის (ჟურნალის) სახელწოდება, წელი, ტომი, გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში, აუცილებელია სათაურიც და გამოცემის ქალაქი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და ინიციალები.

წარმოდგენილი წერილი რედაქციაში უნდა შემოვიდეს 2 ცალად ამობეჭდილი ქაღალდის სტანდარტულ ფურცლებზე (A4), რომელსაც უნდა დაერთოს ზუსტად იგივე ტექსტის ლიტერონული ვერსია კომპიუტერულ დისკეტზე (3,5“). ტექსტი უნდა აიკრიფოს კომპიუტერზე, 12 ფონგით, 1,5 ინტერვალით. გვერდებზე, თოხივე მხრიდან დაცული უნდა იყოს ველები არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა. ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს AcadNusx და AcadMtavr ფონტებით, ხოლო რუსული და ინგლისური - Times New Roman-ით. ცხრილებში დაიშვება უფრო მცირე ზომის ფონტები. წერილის ტექსტი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და სურათები - Excel-ში. ოუ სურათები Excel-ში არაა დამზადებული, მეცნიერ გრაფიკები და ფოტოსურათები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. სურათების სკანირება და მათი წარმოდგენა გრაფიკული ფაილების სახით (.jpg, .bmp და .svg) დაუშვებელია. უკადაგ სურათები ჟურნალში არ იბეჭდება. დისკეტზე ჩაწერილი ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის სახელით უნდა იყოს აღნიშნული. კომპიუტერულ დისკეტზე უნდა იყოს მანამადე უხმარი, ვირუსებისგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა, ჟურნალისთვის უსარგებლო მასალას. დისკეტა აგტორს არ უბრუნდება.

სურათების დაწერილებითი წარწერები უნდა დაიძექდოს წერილის ტექსტის  
ბოლოს, იმავე ფაილში.

ქურნალში წერილის ბეჭდვა ავტორის (ავტორების) ხარჯებით ხორციელდება.  
ბეჭდვის დასაცავარავი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს რეცენზენტის დადგ-  
ბითი დასკრინის მიღებისთანავე. წერილის დაწუნების შემთხვევაში ავტორს (ავ-  
ტორებს) უნდა უნდება წერილის ერთი პირი და წერილობითი რეცენზია. დისკეტი  
ავტორებს არ უძრუნდება და ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვთ უფლება მიიღოს ან არ  
მიიღოს რეცენზენტის კრიტიკა. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი განმეორებით გა-  
დაეცემა სარეცენზიონ სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) რომელიმე წერტის. მეორე  
უარყოფითი დასკრინა საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წერილს  
ხელს უნდა აწერდეს კველა თანაავტორი. მითითებული უნდა იყოს იმ ავტორთა  
ტელეფონის ნომრები, რომელებიც აწარმოებენ ურთიერთობას რედაქციასთან.

წერილს უნდა დაერთოს იმ დაწესებულებების წერილობითი შუამდგომლობა  
(ნებართვა), რომელშიც შესრულებულია შრომა.

კველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იმპედება რუსეთის რეფე-  
რატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ჩაბარება შეიძლება კოველდებიურად, შაბათისა და კვირის გარდა,  
12-დან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ლაროვას ქ., № 14, ი. ბერიბაშვილის  
სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 312, რედაქციის პასუხის-  
მგებელი მდივანი – ალექსანდრე ქორელი.

ტელეფონი: 37-04-79, ელექტრონული ფოსტა: alex\_koreli@yahoo.com